საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი. 2018 წ. №183 (8584) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქვათა ღაღადი გრძელდება

გაცრუკასცებულნი მჯღაბნელნი ქვეწარმავალნი რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნიდან“

ანუ მეზობელმა თუ შემოგაფურთხა და მაგიერი არ შეაფურთხე, უპირო ეგონებიო...

6 7

გეოპოლიტიკური ფართიფურთი

დასავლეთს დაჩოქილი რუსეთი ურჩევნია, მაგრამ...

„მოკრძალებული“ რჩევა ქართველ პოლიტიკოსებს

8

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვალერი ბგანბა დაინიშნა

ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას განცხადებით, ამ ადამიანს ყველა ძალიან კარგად იცნობს.

ცნობისთვის, ოკუპირებული აფხაზეთის „პრემიერ-მინისტრის“ პოსტს გენადი გაგულია იკავებდა, რომელიც 8 სექტემბერს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

მოვრჩეთ ბუხართან ნაცრის ქექვას!

კანაფის ომი

3

საშიში სათამაშოები

მომხმარებელი – საკუთარი თავის იმედად

11

„დიახ! რუსეთმა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი... დიახ! რუსეთი განაგრძობს დღეს ამ ომს“

სალომე ზურაბიშვილის ძმა ოთარ ზურაბიშვილი რუსულ აგრესიასა და 2008 წლის ომთან დაკავშირებით, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„ჩემო მეგობრებო,

ზოგიერთ ჩემს მეგობარს სურს, გაიგოს ჩემი აზრი რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით;

მართალი გითხრათ, მათი კითხვები მაკვირებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ მეგობრებს ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩემი პოზიციების შესახებ არც არაფერი წაუკითხავთ და არც არაფერი სმენიათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიყავი ერთი და იგივე იდეების ერთგული და ვიცავდი ერთსა და იმავე პრინციპებს, რასაც ადასტურებს ჩემი ქმედებები. მაგალითად, ლევილიდან ოკუპირებული ტერიტორიების პირდაპირი ჩართვის ორგანიზება მოვახდინე. მათ, ვინც ამ ეთერს უყურა, იმედია, ეჭვი არ ეპარება ჩემს პოზიციაში.

მიუხედავად ამისა, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ იმას, რასაც ყოველთვის ვამბობდი.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი საქართველოს მიმართ ანვითარებდა აგრესიულ პოლიტიკას და სტრატეგიას, რათა მას ჩვენი სამშობლო რუსეთის ორბიტაზე ჰყოლოდა. ეს ეხება როგორც მეფის რუსეთს, ისე საბჭოთა რუსეთს და დღევანდელ ტოტალიტარულ რუსეთს.

რუსეთი მუდმივ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ: იქნება ეს „რბილი ძალის“ გამოყენება, როცა ის პოლიტიკურ გავლენას იყენებს, თუ როდესაც ის სამხედრო ძალას იყენებს, და შეიჭრება საქართველოში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს აშენებს.

დიახ! რუსეთმა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი.

დიახ, სწორედ რუსეთია ინიციატორი შიდა ქართლში ქართულ სოფლებზე შეიარაღებული თავდასხმების.

დიახ! რუსეთი განაგრძობს დღეს ამ ომს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაძლიერებული მილიტარიზაციით და პროვოკაციებით (მხედველობაში მაქვს: ადამიანების გატაცებები, მკვლელობები, საოკუპაციო ზონის საზღვრების გადაადგილება).

დიახ! რუსეთი საქართველოს მტერია. დიპლომატიური გზა უდავოდ გამოსავალია, მხოლოდ ამ ობიექტურ რეალობაზე დაყრდნობით და არა მისი უარყოფით შეიძლება სტრატეგიის აგება. დიპლომატია ნამდვილი ფაქტების დამახინჯებას არ ნიშნავს. თუ კი ნამდვილ ფაქტებზე თვალებს დავხუჭავთ, ამით რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება“, – წერს ოთარ ზურაბიშვილი.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

გიორგი გახარია კრიმინალური პოლიციის რეფორმას იწყებს!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „საგამოძიებო სისტემის რეფორმაზე“ საგანგებო კონფერენცია გამართა.

სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა გიორგი გახარიამ კრიმინალური პოლიციის რეფორმის მიმდინარეობაზე ისაუბრა.

მისი განცხადებით, 15-20 წლის განმავლობაში კრიმინალურ პოლიციაში არათუ რეფორმა, არამედ რაიმე მსგავსიც კი არ განხორციელებულა, რაც ზეგავლენას ახდენდა საპოლიციო საქმიანობის ხარისხზე და ახლა სამინისტროსთვის ეს არის პრიორიტეტული მიმართულება და საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერება.

სწორედ ახლა კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს საგამოძიებო, ოპერატიული და საუბნო მიმართულებების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა და სამივე მიმართულების გაძლიერების გზით, კრიმინალური პოლიციის საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

ჩვენი რეფორმების საწყის ეტაპად, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ დღეს ერთმნიშვნელოვნად განვიხილავთ კვალიფიკაციის პრობლემებს საგამოძიებო ნაწილში. მე ვსაუბრობ ახლა, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროზე. ამას აქვს თავისი ობიექტური ახსნაც, რამეთუ, ბოლო წლების განმავლობაში, როგორც პრაქტიკაში, ასევე საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი, ფაქტობრივად, სრულად დამოკიდებული არის საპროკურორო საქმიანობაზე, უფროს პროკურორზე. ამ ნაწილში ეს არის ერთობლივი პრობლემა, რომელიც შეგვიძლია გადავწყვიტოთ, რამეთუ შეუძლებელია პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ზრდა, იქ, სადაც უფლებამოსილების ნაწილი არ იქნება უფრო თავისუფალი და უფრო დამოუკიდებელი. დღეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ამ რეფორმებზე, რა თქმა უნდა, უნდა ვისაუბროთ ამ უფლებამოსილების გადანაწილებაზეც, როგორც პრაქტიკულ დონეზე, ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოს დონეზე და ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც უნდა განვახორციელოთ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება შინაგან საქმეთა სამინისტროში, რადგან ჩვენ კარგად გვესმის კრიმინალურ პოლიციაში, საუბნო, ოპერატიული და საგამოძიებო, ერთმნიშვნელოვნად გვაქვს პოზიცია, რომ საგამოძიებო კომპონენტი ჩვენს სტრუქტურაში უნდა იყოს გარკვეულწილად ელიტა. ეს უნდა იყოს ის ინტელექტუალური ბირთვი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საპოლიციო საქმიანობის მაღალი ხარისხი, რა თქმა უნდა, ოპერატიულ და საუბნო მიმართულებებთან ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით ამ მიმართულებით პირველი რაც გავაკეთეთ, 1200-ზე მეტი გამომძიებელია შინაგან საქმეთა სამინისტროში, მათი კვალიფილკაციის დონე შევაფასეთ. ამ შეფასების საფუძველზე მოხდა მათი გადასამზადებელი კურსების შემუშავება. რა თქმა უნდა, ასევე გაჩნდა საბაზისო კურსები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება – ეს გახლავთ სამსახურში მიღების წესი, პრინციპულად იქნება შეცვლილი, რა პროცესიც უკვე დაწყებულია და, შესაბამისად, დღეს ჩვენ ვხსნით დისკუსიას თქვენთან ერთად რეფორმების იმ შინაარსობრივ ნაწილზე, რომლის სტრუქტურული მხარე ჩვენ ფაქტობრივად უკვე დასრულებული გვაქვს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი შინაგან საქმეთა სამინისტროში გახლავთ – საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების სინერგიის ეფექტი. ჩვენ კარგად ვხვდებით და ვაფასებთ სიტუაციას, რომ ამ საზღვრის, ამ თანამშრომლობის ეფექტური და ხარისხიანი სტრუქტურირების გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემაზე საუბარი. ჩვენი ძირითადი მიზანია, ავამაღლოთ გამოძიების ხარისხი და გავაძლიეროთ გამოძიებაზე საპროკურორო კონტროლი. სწორედ ასე და ამ გზით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმ შედეგს, რომ ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა, ჩვენი კრიმინალთან ბრძოლის სისტემა და საერთოდ მართლწესრიგი ამ ქვეყანაში ემყარებოდეს შეჯიბრობითობის პრინციპს და იყოს ეფექტური. აბსოლუტურად ღია ვართ იმისთვის, რომ გავითვალისწინოთ, როგორც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკა და ასევე ჩვენი მხრიდან დავსვათ ის მწვავე შეკითხვები, რომლებიც გვექნება. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ევროკავშირს მხარდაჭერისათვის, ყველა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორს. მინდა, განსაკუთრებით მადლობა გადავუხადო მთავარ პროკურორს აქ ყოფნისთვის მის გუნდთან ერთად“, – თქვა გახარიამ.



საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით ვიმუშავებთ...

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია მსოფლიო ბანკის რეგიონალურ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონსა და აღნიშნული ორგანიზაციის რეგიონალური ოფისის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ასევე დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ნათია თურნავა და გიორგი ჩერქეზიშვილი. მხარეებმა საქართველოში მსოფლიო ბანკის მიმდინარე და სამომავლო პროექტები და სამოქმედო პროგრამა განიხილეს.

„ვისაუბრეთ იმ დახმარებაზე, რომელსაც მსოფლიო ბანკი გვიწევს როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ასევე განათლებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით, ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან ფასეულია და ამ თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ,“ – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს, საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლების თემა იყო.

„თავს დამნაშავედ ვცნობ... მსურს, დავრჩე პატიმრობაში“

წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ვცნობ, – ეს განცხადება ხორავას ქუჩაზე, მოზარდების მკვლელობის საქმეზე შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულმა მირზა სუბელიანმა წინასასამართლო სხდომაზე გუშინ გააკეთა. მისი თქმით, ეთანხმება ბრალდების მხარეს, რომ პატიმრობაში დარჩეს.

„ჩემი ჩვენებიდან არის გამომდინარე ბრალი. მე ვაღიარებ ბრალს და ვიცი, რა შედეგები მოჰყვება ჩემს ქმედებას. მე არ ვხდი სადავოდ მტკიცებულებებს.... საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად დიდია, რომ ეს ჩემთვის პოპულარიზაცია არ არის, უბრალოდ ჩემი პოზიციაა, რომ მე კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ზაზა სარალიძეს. ასევე, მე ვაცხადებ, რომ ვეთანხმები ბრალდების მხარეს და მსურს, დავრჩე პატიმრობაში, თუმცა ეს არ გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩემი მიმალვის საფრთხე არსებობს – ჩემი აქ ყოფნა სიკვდილის ტოლფასია, მირჩევნია, გასვენება იყოს ჩემი, ვიდრე აქ ვიჯდე“, – განაცხადა მირზა სუბელიანმა. საქმის არსებითი განხილვა 1 ოქტომბერს, 12:00 საათზე, გაიმართება.

თბილისში პარასკევსა და შაბათს „ღამის ავტობუსი“ იმოძრავებს

21 სექტემბრიდან, ყოველ პარასკევსა და შაბათ ღამეს, 00:00-დან 06:00 საათამდე, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრიდან“ „ვარკეთილამდე“ ავტობუსი იმოძრავებს.

საპილოტე პროექტის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა.

„ჩვენ ვამბობდით, რომ „ღამის ეკონომიკის“ განვითარების ფარგლებში, საჭირო და მნიშვნელოვანია, ღამის საათებში, კონკრეტულ ლოკაციებზე მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა იყოს შესაძლებელი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია და 21 სექტემბრიდან, ყოველ პარასკევსა და შაბათ ღამეს, 00:00-დან 06:00 საათამდე, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრიდან“ „ვარკეთილამდე“ ავტობუსი იმოძრავებს. ჩვენთვისაც საინტერესოა, თუ როგორ განხორციელდება საპილოტე პროექტი. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მოსახერხებელი იქნება, როგორც ღამის ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდებისთვის, ისე ტურისტებისა და ღამით დასაქმებული მოქალაქეებისთვის“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ავტობუსი მოძრაობას მეტროსადგურ „ახმეტელიდან“ დაიწყებს და პირველი გაჩერება დიდ დიღომში, სუპერმარკეტ „გუდვილთან“ ექნება. შემდეგ გაივლის აღმაშენებლის ხეივანს, მარშალ გელოვანის გამზირს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და საკაძის I გასასვლელთან გაჩერდება. შემდეგ, „ღამის ავტობუსი“ ვახუშტის ხიდს გადაკვეთს და მგზავრებს ვახუშტის ქუჩაზე და სტადიონ „დინამო არენასთან“ მიიყვანს, საიდანაც გზას აღმაშენებლის გამზირზე განაგრძობს და მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარედ გაჩერდება.

შემდეგ, იგი გაივლის მარჯანიშვილისა და ჯავახიშვილის (ყოფ. ელბაქიძის დაღმართი) ქუჩებს და მგზავრებს ჯერ პირველი რესპუბლიკის მოედანზე გაუჩერებს, ხოლო შემდეგ – თავისუფლების მოედანსა და ბარათაშვილის ქუჩაზე – „კონკასთან“. ავტობუსი გადაკვეთს ბარათაშვილის ხიდს და მგზავრებს ევროპის მოედანზე მიიყვანს. იგი გზას გორგასლისა და გულუას ქუჩებისკენ განაგრძობს და აბანოებთან გაჩერდება. ორთაჭალის გავლის შემდგომ, ავტობუსს მორიგი გაჩერებები ექნება დოდაშვილის მოედანსა და მეტრო „ისანთან“. ავტობუსი კახეთის გზატკეცილით ჯავახეთის ქუჩას დაუკავშირდება და მოძრაობას მეტრო „ვარკეთილთან“ დასრულებს.

ავტობუსი უკუმიმართულებითაც ანალოგიურ მარშრუტს გაივლის. ავტობუსს ექნება წარწერა – „ღამის ავტობუსი“.

საპილოტე მარშრუტზე „მანის“ მარკის ავტობუსები ერთსაათიანი ინტერვალით და სტანდარტული - 50-თეთრიანი ტარიფით იმოძრავებენ. ამასთანავე, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფიც იმოქმედებს“, – აცხადებენ მერიაში.

მეტროს შემადგენლობების მოძრაობის შუალედური დრო მცირდება

ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით, თბილისის მეტროს მოძრავი შემადგენლობები პიკის საათებში სამწუთიანი შუალედით იმოძრავებენ, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, დროის შუალედის შემცირება მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი.

„პრობლემა იყო ის, რომ პიკის საათებში მოქალაქეებს 5-6 წუთი ლოდინი უწევდათ, რაც სერიოზულ დისკომფორტსა და პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს მეტროს ვაგონების მთლიან განახლებას, მეტროს სამი ოთხვაგონიანი ახალი შემადგენლობა დაემატება, რომელიც „ახმეტელის თეატრი“ – „ვარკეთილის“ ხაზზე იმოძრავებს და ერთი სამვაგონიანი შემადგენლობა საბურთალოს ხაზზე. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ პიკის საათებში, როდესაც ყველაზე ბევრი მგზავრი გადაადგილდება, მოცდის ინტერვალი სამ წუთამდე შევამციროთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, მომდევნო წლების განმავლობაში, ყოველწლიურად, ოთხი ახალი შემადგენლობის დამატება იგეგმება.

ტაქსის ერთიანი ვიზუალური სტანდარტი 2019 წლიდან ამოქმედდება

ტაქსების რეფორმის ფარგლებში, თბილისის მერია ტაქსის ერთიან ვიზუალურ სტანდარტზე მუშაობს, რომელიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდება.

კახა კალაძის თქმით, ქალაქში მოძრავი ყველა ტაქსი აღნიშნული პერიოდიდან ერთიან სტანდარტში მოექცევა.

„ტაქსების რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელზეც ტაქსების ლიცენზირების თვალსაზრისით, არაერთხელ ვისაუბრეთ. ამ კონკრეტულ რეფორმას რაც შეეხება, თბილისის მერია საკრებულოსთან ერთად, აღნიშნულ საკითხზე უკვე მსჯელობს. ერთიანი ვიზუალური სტანდარტი პირველი ნოემბრისთვის უკვე იქნება დამტკიცებული. ამ დროიდან ტაქსით მომსახურების სერვისის მიმწოდებლებს ეცოდინებათ, თუ როგორი იქნება 2019 წლიდან ეს მოთხოვნები. აღნიშნული სტანდარტი გაითვალისწინებს ასევე, ტაქსის ერთიან დიზაინში რეკლამის განთავსების ადგილს, რომელიც მძღოლებს დამატებითი შემოსავლის წყაროს შეუქმნის“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, ტაქსის მძღოლებს ექნებათ შესაძლებლობა, ავტომობილზე რეკლამისთვის გამოყოფილი ადგილით ისარგებლონ და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, დამატებითი ფინანსური სარგებელი მიიღონ.

კანაფის ომი

ოპიუმის ომი — დიდი ბრიტანეთის ომი ცინის დინასტიის წინააღმდეგ. ბრიტანული ჯარების მიზანი იყო ინგლისის სავაჭრო ინტერესების დაცვა ჩინეთში და ვაჭრობის გაფართოება, კერძოდ, სურდა ოპიუმის დიდი რაოდენობით გაყიდვა, რომლის გაყიდვაც ცინის იმპერიაში აკრძალული იყო. აქედან მომდინარეობს ომის სახელწოდებაც.

ომი დასრულდა დიდი ბრიტანეთის გამარჯვებით. 1842 წლის 29 აგვისტოს ხელი მოაწერეს ნანკინის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების შედეგად დიდ ბრიტანეთს გადაეცა ჰოუგ-კონგი, ჩინეთს დაეკისრა უდიდესი კონტრიბუცია (დაახლ. 21 მლნ დოლარი), ჩინეთის რამდენიმე პორტი (კანტონი, ამოი, ფუჯოუ, ნინბო, შანხაი) გაიხსნა სავაჭროდ ევროპელებისთვის.

ოპიუმის პირველი ომი ცინის დინასტიის დაცემის დასაწყისი გახდა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მოვლენები, რაც საქართველოში ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განვითარდა, ისტორიაში შეიძლება ე.წ. „კანაფის ომის“ სახელით შევიდეს.

დიახ, სწორედაც რომ კანაფის ომის სახელით, რომელშიც საქართველოს მოქალაქეების ორი ნაწილი ერთმანეთს ებრძვის. ომი კი დაიწყო „შავ დუმილში“ გადაზრდილი იმ „თეთრი ხმაურიდან“, რომელიც ვითომდა „მსუბუქი ნარკოტიკის“ ჯერ დეკრიმინალიზაციას და შემდგომ მის ლეგალიზაციას მოითხოვდა, გაგრძელდა ქართული სასამართლო სისტემის მუწუკის, ე.წ. „საკონსტიტუციო სასამართლოს“ ხმაურიანი გადაწყვეტილებით და გადამწყვეტ ფაზაში — კანაფის წარმოებისა და მისი ფარმაკოლოგიური მიზნებისთვის გამოყენების შესახებ, კანონპროექტის მიღების პროცესში შევიდა.

მინდა სოციალურ ქსელში გავრცელებული ერთი საკმაოდ ემოციური პოსტი შემოგთავაზოთ:

ძალიან ცუდ რამეს ვწერ, ძალიან ცუდს, მაგრამ ჩემს შვილებთან, ოჯახთან, მეგობრებთან და ნათესავებთან პირნათელი უნდა ვიყო და არასდროს არ ვიტყვი, რომ „მე დამხვრიტეს“.

მარიხუანას ლეგალიზაცია ფაქტობრივად მოხდა. მიუხედავად შსს-ს საკმაოდ მკაცრი რეგულაციებისა, ეს მოხდა. სამწუხაროდ, არ მჯერა იმის, რომ დღევანდელ რეალობაში, ქართულ რეალობაში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების უსუსტესი მობილურობა და ქმედუნარიანობა ხელის გულზე დევს, სახელმწიფო სრულად გააკონტროლებს მარიხუანას გავრცელებისა და მოხმარების ბაზარს.

სამწუხაროდ, ვთვლი, რომ „თეთრი ხმაურის“, „ბასიანის“ და სხვა თემები სწორედაც რომ ე.წ. „პრობნი შარი“ იყო იმისთვის, რომ დღევანდელ რეალობამდე მოვსულიყავით. სამწუხაროდ, ვთვლი, რომ ე.წ. უმაღლესი დემოკრატიული პრინციპი, რომელიც ხელისუფლების არჩევნებით და ხალხის ნებით გადაცემაში ხმიანდება, არის იმ წყეული კოჰაბიტაციის გაგრძელება, ერის ღირსების სრული გათელვა და ბოკერია-ლევან რამიშვილის მსოფლმხედველობის დამკვიდრებისთვის გადადგმული „შვიდმილიანი“ ნაბიჯი. მსოფლმხედველობის, რომელიც სხვადასხვა საშუალებებით ფაქტობრივად უკვე გამჯდარია ჩვენს ცნობიერებაში და სოციალურ ქსელში გამოხატული ევროპული ტიპის აღშფოთების გარდა, ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ შეხვდება.

წლების განმავლობაში საზოგადოების ცნობიერებაში ჩაჯდა პრინციპი — მე იმის გვერდით არ დავდგები. ჩაჯდა იდეის „ბნელ ძალად“ გამოცხადების პრინციპი.

იმის ნაცვლად, რომ საზოგადოება დადგეს არა „იმის“, ან „ვინმეს“ გვერდით, არამედ საკუთარი პრინციპების, საკუთარი შეხედულებების დასაცავად, ხალხი ბუხარში ნაცრის ქექვაზე და საკუთარი, „იდეალური“ საქართველოს შესახებ, საკუთარი დიქტატორული იდეების შესახებ ოცნებაზე გადავიდა.

სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში მარიხუანაც ფართო მოხმარების პროდუქტი გახდება და ქვეყანა საბოლოოდ გადაშენების გზაზე სრული სვლით გაექანება.

ამ სტატუსს დავამთავრებ ჩემი მოკრძალებული ხედვით — იმისათვის, რომ შვილებისთვის არ მომიწიოს ტყუილის თქმა — მე დამხვრიტესო, ტყვედ არ ჩავბარდები. ბოლო ტყვიაც მაქვს და საყელოში კალიუმის ციანიდიც!

„კანონპროექტში არავითარ შემთხვევაში არ არის საუბარი ნარკოტიკების წარმოებასა და რეალიზაციაზე. ეს უმთავრესი და საკვანძო საკითხია, რაც კანონპროექტშია ასახული“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ**.

ტელეჟურნალისტის შეკითხვაზე, არსებობს თუ არა არალეგალური წარმოების საფრთხე და წარმოებული კანაფის შიდა ბაზარზე მოხვედრის რისკები, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით დეტალური კონსულტაციები გამართოს.



„ეს პრაქტიკა უამრავ ქვეყანაშია დაშვებული და შესაბამისი ქვეყნები უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას ახერხებენ. ესენია, მაგალითად, ისრაელი, საბერძნეთი და ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის არაერთი ქვეყანა. ჩვენი ამოცანაა, უსაფრთხოების საკითხებზე ფართო კონსულტაციები გვქონდეს და თუ დავწმუნდებით, რომ ამ კანონპროექტიდან გამომდინარე მოსახლეობის უსაფრთხოების კუთხით პრობლემები ვერ შეიქმნება, ამ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ხოლო თუ საპირისპიროში დავრწმუნდებით, რა თქმა უნდა, საპირისპირო გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ“, — განაცხადა **კობახიძემ**.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა არგუმენტს უპირისპირებს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციის მოსაზრებას, რომ შესაძლოა, გარიგება მოხდეს და სპეციალურმა სააგენტომ კანაფის საწარმოო ლიცენზია ერთ კომპანიაზე გასცეს, რაც ბაზრის მონოპოლიზაციის საფრთხეს შექმნის, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ იგივე რისკები ეკონომიკის არაერთ სფეროსთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით — ფარმაციასთან, მაგრამ საფრთხეების არიდება კანონის დონეზე უნდა მოხდეს.

„ამ შემთხვევაში ფარმაციის ერთ-ერთ სფეროსთან გვაქვს საქმე და ბუნებრივია, ასეთ დროს მონოპოლიზაციის რისკი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ჩვენი ამოცანა ზუსტად ის გახლავთ, ეს საფრთხეები კანონის დონეზე მაქსიმალურად ავირიდოთ თავიდან“, —განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ერთი შეხედვით, მართლაც „იდეალური“ და დემოკრატიის შუქურის შესაბამისი განცხადებაა, მაგრამ აქაც ე.წ. „ასინეთას“ პრინციპი, ანუ „უკულმა, უკულმა“ ამუშავდა.

რატომღაც ძალიან ხშირად ხდება ის, რომ ჩვენი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ გამოაგდებენ რაღაც გადაწყვეტილებას, იტყვიან რაღაც ფრაზას და როგორც კი იმ „გამოგდებულ“ ინიციატივას თუ როყიოდ ნათქვამ ფრაზას ხალხის აღშფოთება მოჰყვება, შემდეგ იწყებენ ვითომდა განმარტებების კეთებას და საზოგადოების დამუნათებას იმაში, რომ „ხალხს არ ესმის მათი პროგრესული აზროვნების შედეგები“.

ეს უკვე ბევრჯერ მოხდა. მაგალითისთვის საკმარისია უმრავლესობის ორი ლიდერის ბოდიშები ნინია კაკაბაძის საზმაუს ბორდის წევრად არჩევის შემდეგ.

ის, რომ კანაფს სამედიცინო თუ კოსმეტიკური თვალსაზრისით იყენებენ, ამაში დარწმუნება ნებისმიერ პარფიუმერიულ მაღაზიაში შეიძლება. ამ შემთხვევაში მთავარი ეს არაა. მთავარია ის, თუ როგორ მიაწოდებ ინფორმაციას.

კვლავ გავიმეორებ: ბოლო თვეების განმავლობაში თბილისში მიმდინარე აქციებმა, რომლებიც ნარკოტიკების უპრაგონო მოხმარების მოთხოვნა უფრო იყო, ვიდრე ადამიანის უფლებების გამოხატვის თავისუფლებისკენ სწრაფვა, საზოგადოების ცნობიერებაში სიტყვა „კანაფის“ მიმართ საშინლად ანტიპათიური კვალი დატოვა, რასაც დაემატა გუგული მაღრაძისა და სოზარ სუბარის ყოვლად უაზრო განმარტებები.

რა კუბდარი და რის „მალინას“ მოყვანა?

ნამდვილად არ მინდა, ვისაუბრო ამ მართლაც სულელურ „გაპრავებაზე“. არ მინდა, რადგანაც ეს მკითხველის ინტელექტის შეურაცხყოფა იქნება.

მინდა, ხაზი გავუსვა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისადმი უგუნურ დამოკიდებულებას.

ნუთუ „დემოკრატიის შუქურას ნათურები“ ვერ ხვდებიან, რომ იმ კანონპროექტის ფონზე, რომელმაც მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, არ შეიძლება საუბარი კანაფის პლანტაციებზე და მისი გადამამუშავებელი ქარხნების აშენებაზე?

ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ყველაფერს თავისი დრო და მიწოდების ფორმა აქვს?

განა ფარმაცევტული კომპანიები მორფს ან თუნდაც ფსიქოტროპულ წამლებს არ აწარმოებენ?

აწარმოებენ და კიდევაც უნდა აწარმოებდნენ, რადგანაც უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა სწორედ ამ წამლებზეა გამოკიდებული, მაგრამ იმ იდეას, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტისთვის სასარგებლო იქნება, გახმიანება უნდა მოხდეს იმ ხალხის მხრიდან, ვისიც საზოგადოებას სჯერა, ვის აზრსაც ითვალისწინებს და უნდა იყოს ზუსტად განმარტებული, რომ კანაფის ზეთი, რომელიც ნებისმიერ პარფიუმერიულ მაღაზიაში იყიდება, არ არის ნარკოტიკული საშუალება.

სამწუხაროდ, ის კანონპროექტიც საოცრად ზოგადია და მასში უამრავი ისეთი ხვრელია დატოვებული, რომელიც ბევრ, რბილად რომ ვთქვა, არაკეთილსინდისიერ ადამიანს იქ ვირთხებივით ძრომის საშუალებას უტოვებს.

ის, რომ ხელისუფლებას პიარი არ უვარგა, არახალია. ის, რომ „იმედის“ ჟურნალისტები ვერ „ქაჩავენ“ თემის გაშლას და მისი სწორი ნიუანსების მოძიებას, არც ეს არის სკანდალური ნიუსი.

სწორედ ამიტომაც არის ამ ქვეყანაში ის მდგომარეობა, როცა რუსული სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი გრიგოლ ვაშაძე სალომე ზურაბიშვილს პუტინის აგენტობაში ადანაშაულებს.

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყეტილებამ დაგვაყენა ახალი რეალობის წინაშე და პირველი, რაც უნდა გაგვეკეთებინა, რა თქმა უნდა, ეს გახლდათ ის, რომ შემოგვეღო რეგულაციები მოხმარებაზე, რათა დაგვეცვა ჩვენი ახალგაზრდების და ზოგადად, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჩვენ ეს გავაკეთეთ. მინდა, სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონრპოექტი არის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებს შორის. ეს იყო სწორედ პასუხისმგებლიანი მთავრობის მიერ გადადგმული ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ნაბიჯი. რაც შეეხება კულტივაციას, აქაც ჩვენ ავხსენით ჩვენი არგუმენტაცია და ბუნებრივია, მოწადინებული ვართ, ეს საკითხი იყოს ფართო კონსენსუსის შედეგი“, — აღნიშნა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კომუნიკაცია საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის იმ მავთულივითაა გაწყვეტილი, რომლის აღსადგენადაც ფილმ „ღიმილის ბიჭების“ გმირები დაიღუპნენ.

მე მგონი, უკვე კარგა ხანია, დადგა დრო, რომ ხალხმა მიატოვოს ბუხართან ნაცრის ქექვა, გადამრჩენელი მზეჭაბუკის ლოდინი და თავად იფიქროს თავის ქვეყანაზე, ოჯახსა და მომავალზე, თორემ ასე თუ გაგრძელდა, „გირჩის“ „დაბოლილი მრევლის“ ამარა დავრჩებით.

გია გაბრიჭიძე

შსს-ს აქვს ბერკეტი, ქვეყანაში კანაფის კულტივაცია-ექსპორტზე ეფექტური კონტროლი განახორციელოს

გიორგი გახარიას განცხადებით, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არსებობს, კონსულტაციები გაგრძელდება და გადაწყვეტილებები ფართო პლატფორმის ფარგლებში იქნება მიღებული.

— იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხმარების რეგულირებას მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები სამედიცინო თვალსაზრისით, შსს-ს აქვს საშუალება ეფექტური კონტროლის. ეს ხდება დახურულ სივრცეში, შენობაში ფაქტობრივად. ეს, რაც კეთდება რეგულირების ნაწილში შსს-ს ეხმარება, რომ მისი მკაცრი ნარკოპოლიტიკა განახორციელოს კიდევ უფრო ეფექტურად. სხვა შეკითხვები თუ არსებობს, კონსულტაციები გაგრძელდება, — განაცხადა გახარიამ.

შევიცნოთ ბოროტება და არ შევუშვათ ის ჩვენს ოჯახებში!..



განვდევნოთ ის ჩვენი საზოგადოებიდან!

რა არის ადამიანი? ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელიც, იდეას ქმნის, განსაზღვრავს მის მიზნობრიობას და გადააქვს მოვლენაში; ადამიანი შემოქმედია. შემოქმედი ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც მისი ქმნადობა განმსჭვალულია სიკეთით და მასზე საკუთარი პასუხისმგებლობის გარდა არავინ და არაფერი ახდენს გავლენას.

რა არის თავისუფლება? თავისუფლება არის ადამიანის პასუხისმგებლიანი ქმედება, საკუთარი თავის გამოსავლენად. ასეთია ქმედება ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანისა, რომელიც ვერასოდეს შელახავს სხვის ასეთივე უფლებას, იყოს თავისუფალი.

როდესაც პასუხისმგებლობა ქმნადობის პროცესიდან ამოვარდნილია, არსისეული სრულყოფილება დარღვეულია და ადამიანი შეშლილია. ამ დროს იდეაში მყოფი საგანი გადადის ბოროტების პოლუსზე და მოვლენა საშიში ხდება. ასეთი მოვლენა შეიძლება იყოს ადამიანის ნებისმიერი გადაწყვეტილება; კანონი, ხელოვნების ნიმუში, სასაქონლო ნაწარმო და ა.შ. ბოროტული მოვლენა თავისუფლების განმსაზღვრელი ვერ იქნება, რადგან ბოროტება ტკივილია. ადამიანის ქვეცნობიერში გამჯდარია, რომ მოთხოვნილებათა სივრცეში, როგორც ადამიანში, ისე მის გარეთ, ბოროტება მოთხოვნადი არ არის; ტკივილი არავის სიამოვნებს, ამიტომ პასუხისმგებლიანი ადამიანი თავის დასამკვიდრებლად სიკეთის გზას ირჩევს. თავისუფლება სიკეთეა.

ამ რთული პროცესის ფონზე საცოდავად გამოიყურება ჯონ სტიუარტ მილისეული თუ ჯონ როულსისეული განმარტება თავისუფლებისა: „თავისუფლება ისეთი ქმედებაა, რომელიც არ შელახავს სხვის ასეთივე უფლებას“. როგორ არის შესაძლებელი ერთი ადამიანის სიკეთემ, მეორე ადამიანის სიკეთე შელახოს? ის ხომ სიკეთე აღარ იქნება? თავისუფლების ამ განმარტებაში ბოროტების ჩადენაც თავისუფლებაა, თუ არ შევლახავ სხვის უფლებას, ჩაიდინოს ბოროტება.

არსისეული სრულყოფილება ადამიანისა ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივი და ზებუნებრივი შესაძლებლობები გაცნობიერებულია თავის თავში და პასუხისმგებლობით, მიზნობრივად მიმართავს მოთხოვნილებებისკენ სასიკეთოდ. ასეთი ქმედება ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანის ქმედებაა, რომელიც ვერასოდეს შელახავს სხვის ასეთივე უფლებას.

რა არის ადამიანი? ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელიც, იდეას ქმნის, განსაზღვრავს მის მიზნობრიობას და გადააქვს მოვლენაში; ადამიანი შემოქმედია. შემოქმედი ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც მისი ქმნადობა გამსჭვალულია სიკეთით, და მასზე საკუთარი პასუხისმგებლობის გარდა არავინ და არაფერი ახდენს გავლენას.

რაც შეეხება ადამიანის უფლებებს; იქ სადაც თავისუფლების ჭეშმარიტი არსი დაუდგენელია, შეუძლებელია, უფლებები სწორად იყოს განსაზღვრული. უმთავრესი ამ საკითხში ის არის, რომ უფლებები ადამიანის არსისეული სრულყოფილებიდან განისაზღვროს და არა მისი ავადმყოფური მდგომარეობიდან. შეშლილობაში მყოფი ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, დაუბრუნდეს სრულყოფილებას. უპასუხისმგებელო ადამიანი დანით ყელს თუ გამოიჭრის, ეს მისი უფლება კი არა, შეშლილობაა.

იდეოლოგიურმა ლიბერალიზმმა თავისუფლება და უფლებები ტროას ცხენად აქცია. ღრმად ჩამალული ბოროტება ადამიანურ ღირებულებებს აუფასურებს. სულიერება, თავისუფლება და ქმნადობა ადამიანურობის წმინდა სამებაა. ამ სამებიდან ერთ-ერთის დაკარგვაც ადამიანის არსს სრულყოფილებას უკარგავს. დემოკრატიულმა ლიბერალიზმმა თავისუფლების ილუზიური განწყობები შექმნა, ისინი ადამიანზე არსისეულ სრულყოფილებაში კი არა, ილუზიურ წარმოდგენებში მყოფს იცავენ; ნარკომანს იცავენ და არა – ადამიანს, რომელიც ნარკოტიკმა არსისეულ სრულყოფილებას მოსწყვიტა; ოჯახს, საზოგადოებას, ერს მოწყვეტილი ადამიანის თავქარიანობას იცავენ და არა – ადამიანის უფლებებს, რომლებიც ოჯახთან, საზოგადოებასთან და ერთიან წინააღმდეგობაში არ შედიან. ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანებთან ერთად ადამიანის უფლებათა დამცველები ილუზიებში ცხოვრობენ და ვიდრე ილუზიები არ გაუქრებათ, ადამიანს თავის არსისეულ სრულყოფილებაში ვერ დაინახავენ. და ვისაც ვერ ხედავენ, როგორ დაიცავენ მის უფლებებს?

ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს, მასზე ბოროტი ძალა ახდენს გავლენას, თუ – კეთილი. როდესაც ადამიანი სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაში სიკეთის პოლუსზეა, ის სიკეთეს ასხივებს. სიკეთე არ შეიძლება ვიღაცას საამოდ მოეფინოს და ვიღაცას – საზიანოდ. სიკეთის პოლუსზე ქმედება ყველას მიმართ სიკეთით არის გამსჭვალული, ის არ საჭიროებს განმარტებებს, განმარტებები ბოროტების შესანიღბად კეთდება. როდესაც სახელმწიფო მოხელეები, ან უფლებათა დამცველები ნარკომანს ნარკოტიკის ლეგალიზაციას სთავაზობენ, შესანიშნავად იციან, რომ ნარკოტიკი ნარკომანს დააზიანებს, მაგრამ გვესმის განმარტებები თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების სახელით, რაც ნარკომანს საკუთარი თავის დასაზიანებლად ხელფეხს უხსნის, თუმცა ისიც იციან, რომ არ არსებობს ბოროტება, მიმართული კონკრეტული ადამიანისკენ, რომელიც სხვას არ დააზიანებს; რამდენი ნარკომანის დედა ან მეუღლე გვინახავს ატირებული?... რამდენი ნარკომანის ოჯახი დანგრეულა?.. ნარკოტიკით გონების დაზიანების გამო, რამდენი ადამიანის შესაძლებლობები დაკარგულა?.. მათ, ვინც ლეგალიზაციას აკანონებენ, ნუთუ სჯერათ თავიანთი ილუზიური წარმოდგენებისა და ბოროტება თავისუფლება ჰგონიათ? თავისუფლება სიკეთეა და ის ბოროტება ვერ იქნება.

ბოროტების პოლუსზე ქმედებას ილუზიური განმარტებები ვერ ფუთავს. ჩვენ იოლად შეგვიძლია ამოვიცნოთ, ორპოლუსიან სისტემაში ქმედება ბოროტებაა, თუ – სიკეთე, უბრალოდ, დავაკვირდეთ, ადამიანებისთვის მწუხარება მოაქვს, თუ – სიხარული და თავისუფლების ილუზიებით გონებას ვეღარ აგვირევენ; შეუძლებელია, სიკეთემ მწუხარება მოგვიტანოს და შეუძლებელია, ბოროტებამ სიხარული მოგვიტანოს.

ШЕВИЦНОТ БОРОТЕБА ДА АР ШЕВУШВАТ ЧВЕНЕС ГУЛЕБШИ! ШЕВИЦНОТ БОРОТЕБА ДА АР ШЕВУШВАТ ОЖАХЕБШИ, РОМЕЛИЦ ДААНГРЕВС ЧВЕНС ОЖАХЕБС! ШЕВИЦНОТ БОРОТЕБА ДА ГАНЗВДЕВНОТ ИС САЗОГАДОЕБИДАН, ТОРЕМ ЧВЕН АЛМОВЧНДЕБИТ ГАНДЕВНИЛНИ САЗОГАДОЕБИДАН! ШЕВИЦНОТ БОРОТЕБА, ДАВИЦВАТ ЕРИ ДА ДАЦУЛЕБИ ВИЧНЕБИТ!



ჯუმბერ სარდლიშვილი,
ტ. 599 24-40-28

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 181-182

აურზაური რესპუბლიკური საავადმყოფოს გარშემო

ФИНАНСУРИ დარღვევები რესპუბლიკურ საავადმყოფოში თუ მიზანმიმართული შეტევა მოქმედი მენეჯმენტის წინააღმდეგ – საპარტნიორო ფონდი რესპუბლიკურ საავადმყოფოში ფინანსური დარღვევების შესასწავლად აუდიტის სამსახურის შესვლას ითხოვს.

ფონდი, რომლის ბალანსზეც საავადმყოფოა, დირექტორის გადაყენებასა და საგადასახადო სამსახურების მიერ დარღვევების შესწავლას მოითხვს.

საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, რომ პრობლემები საავადმყოფოში შიდა აუდიტმა აღმოჩინა, რაც შესაძლოა არსებული მენეჯმენტის დათხოვნის მიზეზი გახდეს.

„მე პირველ რიგში მოვითხოვე ფინანსური მენეჯმენტის გადადგომა და ფინანსური ანგარიშგების გასწორება. მოვითხოვე, რომ აუდიტორმა კომპანიამ და საგადასახადო სამსახურებმა შეამოწმონ ერთ-ერთი სეგმენტი. ნამდვილად არსებობს ბევრი დარღვევა ისეთი, როგორიც არ უნდა იყოს. ეს არის ზოგი უმნიშვნელო, ზოგი მნიშვნელოვანი მე ამაზე არ ვისაუბრებ ამაზე შესაბამისად ისაუბროს შესაბამისმა ორგანოებმა და მათ მიიღონ დასკვნა.

ვინაიდან საპარტნიორო ფონდს გადასცეს ეს კლინიკა, ჩვენ მართალია, სამედიცინო ნაწილში არ ვერევით, იმიტომ რომ ჩვენ მხოლოდ ბალანსზე გვაქვს შენობა, მაგრამ პასუხის ვაგებთ, თუ რა ხდება, იმიტომ რომ აქ ავადმყოფები მკურნალობენ“, – ამბობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე.

* * *

რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის მოთხოვნას – გადადგეს გენერალური დირექტორი და საავადმყოფოში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდეს, მენეჯმენტის წინააღმდეგ მიზანმიმართულ შეტევას უწოდებს.

საავადმყოფოს დირექტორი აცხადებს, რომ ფონდის აღმასრულებელ დირექტორს დავით საგანელიძეს კონკრეტული ინტერესი აქვს, მას საავადმყოფოს დანგრევა სურს. ავთანდილ იმედაძის განცხადებით, სხვა შემთხვევაში საგანელიძის შეტევა საავადმყოფოს მენეჯმენტზე გაუგებარია.

დირექტორი რესპუბლიკურ საავადმყოფოში რაიმე სახის ფინანსურ დარღვევას გამორიცხავს და ამბობს, რომ საგანელიძის ფონდს, რომლის ბალანსზეცაა რესპუბლიკური საავადმყოფო, საზოგადოება შეცდომაში განზრახ შეჰყავს.

დიდი სიცოცხლით დამარცხებული დიდივე ასაკი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მიხეილ ხანანაშვილის 90 წლის იუბილე

ბატონი მიხეილი დაიბადა 1928 წლის 19 სექტემბერს, ცნობილი მეცნიერის, საქართველოში ქიმიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ ხანანაშვილის ოჯახში. 1945 წელს №1 საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, უკვე მეორე კურსის სტუდენტი ჩაება სამეცნიერო მუშაობაში და პირველი სამეცნიერო ნაშრომი შეასრულა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმატებით განაგრძობდა მეცნიერულ თანამშრომლობას. 1951 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიხეილ ხანანაშვილი ჩაირიცხა ქ. ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრებისთანავე უკვე მეცნიერებათა კანდიდატი შეუდგა ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ამავე ინსტიტუტში, რომელიც იმ დროისთვის აღიარებული იყო მსოფლიო ფიზიოლოგიის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად. თავის 20- წლიანი უაღრესად პროდუქტიული სამეცნიერო მოღვაწეობა ამ რუსული ფიზიოლოგიის მექაში მიხეილ ხანანაშვილმა დაასრულა უმაღლესი ნერვული მოქმედების კვლევის ახალი მი-

მართულების პიონერისა და დამფუძნებლის სახელით საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდებით.

უპირობოდ მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მოხვეჭამ უფლება არგუნა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს, სათავეში ჩასდგომოდა სწორედ იმ ლაბორატორიას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა დიდი ივანე პავლოვი.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ექვსი ათეული წლის წინათ ფიზიოლოგიური კვლევის ფერხულში ჩაბმისთანავე რეტროგრადული „ფსევდოპავლოვიზმის“ დოგმატიზმისგან განთავისუფლებული და განახლებული საბჭოური ფიზიოლოგიური მოძღვრების აღიარებით, მიხეილ ხანანაშვილი იმთავითვე წარმოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევართა პლეადაში ახალი ფორმაციის მეცნიერის თვისებებით, რაც მაშინ, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, ნოვატორული სულისკვეთებისა და შემოქმედებით ძიებათა სიმწვავის მიხედვით შეესაბამებოდა იმ პერიოდის უნიკალური ფრანგული კინემატოგრაფიის ისტორიულ „ახალ ტალღას“.

გასაოცარია ის გარემოება, რომ აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი მთელი თავისი უშრეტი ენერგიით აღსავსე შემოქმედებითი ცხოვრების ყველა შემდგომ ეტაპზეც უცვლელად რჩება ახალი ფორმაციის ფიზიოლოგად, კვლავაც ბრწყინვალედ წარმოადგენს ფიზიოლოგიის „ახალ ტალღას“ და ღირსეულად მორგებულ ეპითეტს „ახალი“ ამკვიდრებს, უპირველეს ყოვლისა, განუმეორებელი ნიჭით და მეცნიერული კულტურით.

1975 წელს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო იწვევს მიხეილ ხანანაშვილს — ფართო სამეცნიერო ასპარეზზე განთქმულს, მრავალი ნოვატორული კონცეფციის დამნერგავ მკვლევარს ცხოველთა ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სადაც მას მიანდეს ახლად გარდაცვლილი დიდი ივანე ბერიტაშვილის მიერ ნაანდერძევი სამეცნიერო-შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელება.

1984 წელს მიხეილ ხანანაშვილი აირჩიეს საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1996 წლიდან ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია.

ბატონ მიხეილის მოღვაწეობის 1980-1990 წლების მონაკვეთი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში აღმშენებლობისა და აღმასვლის ახალ ფურცლად. ამ პერიოდში ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე უბადლო მკვლევარ-ექსპერიმენტატორის ნიჭთან ერთად გამოვლინდა მიხეილ ხანანაშვილის პროგრესული სტილის ადმინისტრატორისა და მეცნიერების ორგანიზატორის კოლოსალური უნარი.

აკადემიკოს ხანანაშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი საკითხებია უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონზომიერებანი ნორმისა და პათოლოგიის პირობებში, მეხსიერებისა და ემოციის

პრობლემა. მას ეკუთვნის ორიგინალური კონცეფცია ინფორმაციული ნევროზის და ინფორმაციული სტრესის შესახებ. მრავალრიცხოვანი აღმოჩენის დონეზე ჩატარებული გამოკვლევებიდან მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთვრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიოლოგიის და მედიცინის მეცნიერების დარგების განვითარებაში და პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სამოციან წლებში მიხეილ ხანანაშვილმა შეძლო უნატიფესი ქირურგიული მეთოდიკის დამუშავება, რომლითაც მან განახორციელა ცხოველთა თავის ტვინის ქერქის სრული იზოლაცია ქვემდებარე თავის ტვინის სტრუქტურებიდან. ამ უნიკალური მეთოდიკის გამოყენებით მკვლევარებს თავის ტვინის ქერქის მიერ წარმოებული მთელი რიგი ფუნქციების დეტალური ანალიზის საშუალება მიეცათ.

მისი მეცნიერული მიღვაწეობიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაციული ნევროზის თეორიის ჩამოყალიბება. ეს თეორია გარკვეულწილად პრაქტიკულ მედიცინაში შეიჭრა და ისევ მიხეილ ხანანაშვილის ძალისხმევითა და ორიგინალური მიდგომის საფუძველზე ფსიქონერვული დაავადების დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ფორმის — ინფორმაციული დაავადების სახით წარმოგვიდგა. ინფორმაციული დაავადება გულისხმობს ნერვული სისტემის უმაღლესი ფუნქციების დარღვევას და ამით განპირობებულ, ორგანიზმის სხვა სისტემების ცხოველმყოფელობის მოშლას სამი ფაქტორის არახელსაყრელი შერწყმის პირობებში. ეს ფაქტორებია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად გადასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა, ამისთვის განკუთვნილი დრო და დასახული ამოცანის შესრულების მაღალი მოტივაცია. ამ სამი ფაქტორის თანხვედრა არახელსაყრელია ორგანიზმისთვის იმ შემთხვევაში, თუ გადასამუშავებელია დიდი მოცულობის ინფორმაცია, აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების და ტვინის ამგვარი მუშაობისთვის გამოყოფილია მცირე დრო; ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი აქვს ინფორმაციის დეფიციტს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია კვლავ მაღალია, აღნიშნული „ინფორმაციული ტრიადა“ საყოველთაოდ აღიარებული იქნა კლინიცისტების მიერ. არსებითად, მიხეილ ხანანაშვილის მიერ შექმნილია უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ახალი სახეობა და მისი განვითარების მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული იქნა ამ პათოლოგიის პრევენციისა და მკურნალობის ახალი გზები.

მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე მ. ხანანაშვილმა ახლებურად განიხილა და გააანალიზა ჰანს სელიეს მიერ ჩამოყალიბებული თეორია ზოგად ადაპტაციური სინდრომის თაობაზე. მის მიერ შემოთავაზებული იყო პიპოსტრესის, ნორმოსტრესის და ჰიპერსტრესის ცნება, რომლებიც არსებითად სტრესული მდგომარეობის ფორმებს წარმოადგენენ და დაასაბუთა ამ მდგომარეობის

რეალური არსებობა. მიხეილ ხანანაშვილის მიერ მოწოდებული სტრესის განვითარების ორიგინალური თეორია არსებითად ჰანს სელიეს თეორიის შემდგომი განვითარება.

ამასთან ერთად მიხეილ ხანანაშვილმა შეიმუშავა მრავალი სრულიად ახალი ექსპერიმენტული მეთოდიკა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია თავის ტვინის ლოკომოტორული თვითსტიმულაციის მეთოდი, რომელმაც საშუალება მისცა მას და მის თანამშრომლებს, დაედგინათ ემოციის მარეგულირებელი ცენტრები თავის ტვინში.

აკადემიკოსი ხანანაშვილი მუდმივად ახლის ძიებაშია. თავისი მრავალწლიანი კლინიკო- ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და დაკვირვების ანალიზის საფუძველზე სულ უკანასკნელ ხანებში მან წარმოადგინა ნორმიდან პათოლოგიაში გადასვლის სრულიად ახალი და ორიგინალური თეორია, რასაც მან მეოთხე მდგომარეობა უწოდა. ე.ი. მისი აზრით, ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შემდეგი ეტაპებისაგან შედგება — ნორმა, გარდამავალი მდგომარეობა, ავადმყოფის მანიფესტაცია, სიკვდილი. მის მიერ აღწერილ გარდამავალი (მეოთხე) მდგომარეობის პერიოდში შეჭრილი პათოგენური აგენტის საწინააღმდეგოდ ორგანიზმში ამოქმედდება თვითმარეგულირებელი, დამცველობითი მექანიზმები. აღნიშნულ პერიოდში საჭიროა დამცველობით-კომპენსატორული რეაქციების გაძლიერება და არა დათრგუნვა, რათა თავიდან იქნას აცილებული დაავადება, სხვა შემთხვევაში ძლიერი პათოგენური აგენტის ზემოქმედებისას, რომელსაც ვერ ერევა გარდამავალ მდგომარეობაში აღმოცენებული პროცესები, ვითარდება პათოლოგია. მისი ორიგინალური მოსაზრება პრინციპულად ცვლის ადრე არსებულ შეხედულებას იმ მოვლენათა ბიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებენ ჩამოყალიბებულ პათოლოგიას და, რომლებიც აქამდე განიხილებოდა „როგორც პათოლოგიის ადრეული სიმპტომები“. ეს თეორია სახავს ახალ, უფრო ეფექტურ მიდგომას დაავადების პრევენციისა და მკურნალობის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ 1999 წელს, რუსეთის პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გაზენკომ წინადადებით მიმართა მსოფლიოს მრავალ მეცნიერს, დაეჭირათ მხარი მიხეილ ხანანაშვილის ნობელის პრემიაზე წარსადგენად ფიზიოლოგიისა და მედიცინაში განსაკუთვრებული მიღწევებისთვის. მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუშალეს ამ იდეის განხორციელებას.

1975 წელს ლოს-ანჯელესში ხანანაშვილისთვის პავლოვის ჯილდოს გადაცემისას ამერიკის პავლოვის საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა განტმა აღნიშნა, რომ პავლოვის შემდეგ მიხეილი არის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მეცნიერი უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ქცევის შესწავლის სფეროში.

მ. ხანანაშვილის მეცნიერული წარმატების აღიარებაზე მეტყველებს ის, რომ იგი არჩეულია ინგლისის, გერმანიის, აშშ-ის, ჩეხეთის, პოლონეთის პრესტიჟული სამეცნიერო საზოგადოებების წევრად და საპატიო წევრად. 1980-90 წლებში ის არჩეული იყო მსოფლიო ფიზიოლოგთა კავშირის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. მას მინიჭებული აქვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის პრემია და ოქროს მედალი. დაჯილდოებულია სხვა პრესტიჟული საერთაშორისო პრემიებით (აშშ, გერმანია, იტალია, ინდოეთი და სხვა): ჩრდილოეთ ამერიკის ქცევის შემსწავლელი საზოგადოების ჯილდო, სსრკ სახელმწიფო პრემია, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს ნიშანი, იტალიის გერონტოლოგთა აკადემიის და სტრესის შემსწავლელი საზოგადოების ჯილდოები, პათოფიზიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების მედალი, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ოქროს ნიშანი, არჩეულია ქ. კოლომბოს (შრი ლანკა) საპატიო მოქალაქედ. 2003 წელს აირჩიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში თვის ადამიანად. არის საქართველოს „ღირსების ორდენის“ კავალერი.

მიხეილ ხანანაშვილს ეკუთვნის 300-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის 16 მონოგრაფია გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ბულგარულ და სხვა ენებზე. იგი თანაავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და 7 სადოქტორო დისერტაცია. ბატონი მიხეილის მიერ გაწეული მართლაც რომ ტიტანური შრომა შეუძლებელი იქნებოდა მისი ერთგული მეუღლის, მეგობრის და ამავე დროს კოლეგის — ქალბატონ ლია წულაია-ხანანაშვილის მუდმივად მხარში დგომის და ზრუნვის გარეშე.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი მიხეილი ჩვეული შემართებით, განაგრძობს მაღალ შემოქმედებით მუშაობას. აქტიურად მუშაობს ახალ მონოგრაფიაზე, ჩართულია ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო თემატიკის განხილვაში და საქმიან რჩევებს აძლევს ახალგაზრდა კოლეგებს. ბატონი მიხეილის მეგობრების, მოწაფეებისა და კოლეგების სახელით ვულოცავთ მას დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს,ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

დავით ნადარეიშვილი
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი;
ნოდარ მითაგვარია,
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის განყოფილების გამგე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების გამგე, აკადემიკოსი;
გურამ ბეძანია
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო-საინფორმაციო განყოფილების გამგე, საქართველოს ი.ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი; პროფესორი.

ᲒᲐᲪᲠᲣᲙᲐᲪᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲛᲯᲦᲐᲑᲜᲔᲚᲜᲘ ᲥᲕᲔᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ-ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ „ᲜᲝᲔᲡ ᲙᲘᲓᲝᲑᲜᲘᲓᲐᲜ“

„ᲦᲐᲓᲛᲝᲮᲔᲓᲐ ღმერთმა ქვეყანას და აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე... და უთხრა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემ წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა უსამართლობით. აჰა, მოვავლენ წარღვნას ქვეყანაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი, რასაც სიცოცხლის სული უდგას... შენ კი შეკარი კიდობანი, შედი შენი ცოლ-შვილით და შეიყოლე ყოველგვარის ხორციელი, ყოველი გვარის ფრინველი, ყოველი გვარის პირუტყვი, ყოველი გვარის ᲥᲕᲔᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ყველა წყვილ-წყვილად, რათა გადარჩნენ...“

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ, 6:8 - 19.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ, სრული კაცი იყო ნოე, მხოლოდ იმას ეპოვა მადლი უფლის თვალში. ალბათ, შეეძლო, რომ ყოველი გვარის ქვეწარმავალნი არ შეეყვანა კიდობანში, მაგრამ უფლის ნათქვამს ხომ ვერ გადავიდოდა. და ყველა სულდგმულთან ერთად ქვეწარმავალნიც გადარჩნენ, რომელთაგან ბევრნი უკეთურ ადამიანებად იქცნენ. მე, უწინარესად, რასაკვირველია, მჩხიბავნი, კალამგირნი, ანუ ავად მჯღაბნელი ადამიანები მყვანან მხედველობაში.

ეს უკეთურნი კი, მამისმამეულად, ანუ წარმოშობით „ნოეს კიდობნის“ წყალობით წარღვნას გადარჩენილნი ქვეწარმავალნი, დიდად სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში და ყველა ერში არიან. არა აქვს მნიშვნელობა ქართველი იქნება ეს, სომეხი, ფრანგი თუ იტალიელი, ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლით...

რაც შეეხება „ნოეს კიდობანს“, როგორც ღრმა სიძველის მიმანიშნებელს, ყველას არა აქვს იმის დაჩემების, მითვისებისა თუ მისაკუთრების უფლება, თუ მართლაც ძალიან, ძალიან ღრმად ძველი, წარღვნის წინა დროის ერი არა ხარ.

მე პირადად ერთ-ერთ ასეთ ერად გულწრფელად მივიჩნევ ჩვენს ძველთუძველეს არა მარტო მეზობელ, არამედ თუნდაც მითოლოგიურად ძმა ერს (ჰაოსი და ქართლოსი რა, არ გახსოვთ?!) – სომეხთ, რომელთაც, როგორც ჩვენი, ისე ბევრი სხვა ერისა არ იყოს, უკეთური ადამიანები არ აკლიათ. ცხადია, ზოგს ბევრი ჰყვანან ისინი, ზოგს შედარებით ნაკლები. მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის. ბევრნი არიან თუ ცოტანი, ისინი ერთნაირად ამღვრევენ ერთა შორის ალალი ურთიერთობის წმიდათაწმიდა წყაროსთვალს და ამდენი განვლილ-ჩავლილი ათასწლეულის შემდეგაც კრავენ თუ აგებენ ახალ „ნოეს კიდობანს“, ოღონდ იმ „ნოეს კიდობანივით“ ურთხელისას კი არა, უკვე ქაღალდისას და ამ „ქაღალდის კიდობანში“ ვითომ **სიმართლის ქართული იდეოლოგიის წარღვნისაგან გადასარჩენად** გვარიანად გაჯეჯილებულ სიცრუეს ტყუილსა და ნაცილს „აღაღადებენ“ (ისევ და ისევ ჩვენთა „ქვათა ღაღადის“ საწინააღმდეგოდ!), ოღონდ არა სომხურად, არამედ უკვე რუსულადაც ან ინგლისურადაც, რა არის, რაც შეიძლება ბევრგან მიცურდეს ეს ახალი, არცთუ იშვიათად პროვოკაციული სომხური „ნოეს კიდობანი“.

იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, მე მგონი, კარგად ბევრი ვიენამრავლე ლიტრაზე კოკის გასაგონად, ახლა პირდაპირ ვიტყვი სათქმელს. ღმერთმანი, სულაც არ მიხარია ამის წერა და არც ნიშნისგებით ვწერ, მაგრამ როგორც იმათგან არ ეგების, ბევრი სიბრიყვის ტყაჭუნი, ისე ჩემგან არ ეგების სიმართლის უთქმელობა.

ლაპარაკი მაქვს მოსკოვში გამომავალ რუსულ-სომხურ დამოუკიდებელ გაზეთ „ნოეს კიდობანზე“ („Ноев ковчег“). მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ეგრეთ წოდებული რუსულენოვანი გაზეთი, ჩვენი გაზეთის გაორმაგებული ფორმატისა და 18-გვერდიანი, მოსკოვში 1997 წლის აგვისტოდან გამოდის და დღემდე ჯერჯერობით უკვე გამოსულია სულ 305 ნომერი, ანუ 4880 გვერდი. მე მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ბოლო მე-6 ნომერზე ჩამოვაგდებ სიტყვას. ერთადერთ ბოლოზე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ივნისის მე-6 ნომრის გარდა, გაზეთი 20 ივნისის მე-7 ნომრის შემდეგ ივლისშიც გამოვიდა და აგვისტოშიც, სექტემბერშიც და ა.შ.

არ ვიცი, ჩემდა სამარცხვინოდ თუ, საერთოდ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ ბოლო დრომდე წარმოდგენა არ მქონდა, თუ ეს რუსულ-სომხური „ნოეს კიდობანი“ ასე ლაღად დაცურავდა გადარუსებულ სომეხ მჩხიბავთაგან, ანუ ავად მწერალთაგან აშკარად ანტიქართული დეზინფორმაციის წარღვნისგან გაჩენილ ბინძურ ზღვაში, რომლის გესლიანი ტალღებიც არაერთ მალემრწმენს აჯერებენ, თუ როგორ ვძარცვავდით საუკუნეთა მანძილზე „ეს ქურდი ქართველები“ დედამიწასთან ერთად გაჩენილ სომეხთა ისტორიას (ის კი არა, თურმე ადამი და ევაც სომეხნი ყოფილან! იცოდით?! რასაკვირველია, არ იცოდით. ასე რომ, ამ სომხური „ნოეს კიდობნის“ მიხედვით, მთელი კაცობრიობა მამისმამეულად, ანუ წარმოშობით, ჰაოსიდან მოდის. ამ ლოგიკით თვითონ ნოეც რომ სომეხი იყვეს, რა გასაკვირია!).

ალბათ, იკითხავთ, ეს რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ წლევანდელი ივნისის მე-6 ნომერი ამჯერად შენამდე როგორ მოცურდაო? მართალი გითხრათ, მეც მიკვირს და გამკვირვებია, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, ესე იგი მთელი 21 წელიწადი, თვითონ მოსკოვში მცხოვრებ ქართველთაგან, რომელნიც იქ გვარიანად მრავალნი არიან, ერთმა ერთხელ მაინც ვერ შეამჩნია, რომ ამ რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ 4880 ნომრიდან, თურმე არც ერთი ნომერი არ არის, რომლის ფურცლებზეც საქართველო და ქართველობა მავნე სიცრუის შენიღბვის მიზნით რაღაც კარგის აქა-იქ უღონოდ გაკრთომა-გაციმციმების გარდა, ძირითადად გამოყვანილნი არიან ბაცაცებად და სხვათა ისტორიების, ამ შემთხვევაში სომხეთის ისტორიის, მძარცველებად. და ყოველივე სიკარგის მიმტაცებლად (აქ უცებ, ჩემი შენ გითხარიო, წამომაგონდა!)

ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო, უწინარესად ჩვენს პატივცემულ ისტორიკოსთ ვგულისხმობ, რატომ ვართ ასე გაკმენდილნი, რატომ გვაქვს ასე სამარცხვინოდ ენა მუცელში ჩაგდებული, წარმოგიდგენიათ, „ნოეს კიდობნის“ გამოსვლიდან დღემდე, თითქმის 5000 ნომერში, ასევე თითქმის 5000 ანტიქართული ეს თუ ის, დიდი თუ პატარა გამოხდომა, თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ გაზეთის ტირაჟი 105 ათასია და ვრცელდება როგორც რუსეთში, ისე ამერიკაში და ევროპაში (ალბათ, აზიასა და ავსტრალიაშიც). ერთი სიტყვით, თუ ზღვა კოვზით დაილია, 5000 ცრუინფორმაციული სილაქი როგორია?! თანაც ამ გამეტებულად გაწნულ სუყოველ სილაქს თუ ძალიან შორს განჭვრეტილი მიზანი აქვს...

ჯერ ერთი, 5 ათასივე ნომერი, ბუნებრივია, ამჟამად ხელთ არა მაქვს და, ცხადია, მეორეც, ხელთაც რომ მქონდეს, ხუთი ათასივე ნომრის განხილვას თუ მიმოხილვას, ალბათ, ერთი კარგა მოზრდილი ტომიც არ ეყოფოდა. ამიტომ, როგორც ზღვის ერთი წვეთის მიხედვით მთელი ზღვის შემადგენლობაზე შეიძლება წარმოდგენის შექმნა, ასევე ითქმის „ნოეს კიდობნის“ მხოლოდ წლევანდელი ივნისის მე-6 ნომერზეც, რომელსაც ამ საგაზეთო წერილში ვეხები...

ეს ნომერი კი, ქართული ისტორიის გულმტკივნეულ შემატკივარმა მავანმა თამაზ წიკლაურმა მომაწვდინა (ეტყობა, დროდადრო წიკლაურის თიკუნით გამოქვეყნებულ ჩემს წერილებს კითხულობს „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე და „ნოეს კიდობნის“ ამ ნომერთან ერთად გამოგზავნილ ბარათში როგორც მოგვარეს, მწერს – იმედია, თქვენი გაზეთის საშუალებით ხმას მიაწვდენთ ამჟამინდელი საქართველოს საბედისწეროდ დაბნეულ საზოგადოებასო).

სიმართლე გითხრათ, ამ რუსულენოვანი სომხური „ნოეს კიდობნის“ ეს შესიტყვება თუ სიტყვათშეერთება – „საბედისწეროდ დაბნეული“ ჩვენი ამჟამინდელი საზოგადოების ერთგვარ ზუსტ დიაგნოზად მიმაჩნია და მინდა, რომ იმედი არ გავუცრუო ჩემს აშკარად მამულიშვილური გრძნობით უხვად გამსჭვალულ მაცნე-იფრინდას. ამიტომ გადავწყვიტე რუსულ-სომხური ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი (რისგან ნეტავი? ალბათ, ისტორიული სინდის-ნამუსისგან!) გაზეთის „ნოეს კიდობნის“ ანტიქართული დეზინფორმაციის ზღვაში კი არა, უფრო ზღვასავით გაშლილ წუმპეში ლაღად ცურვის ამბის ქართველი მკითხველის ყურამდე მიტანა.

მაშ, მივყვეთ ამ რუსულ-სომხურ „ნოეს კიდობანს“... რატომღაც გულის სიღრმეში მჯერა, რომ ამ ჩემს ერთგვარ გულისტკივილს (უძველესი მეზობლის ერთ ბედასლ ნაწილზე აუგიანი სიტყვის თქმა რომ მიხდება) ქართველ მკითხველთან ერთად ბევრი თბილისელი თუ საერთოდ „გაქართველებული“ სომეხიც მხარს დაუჭერს და ჩვენთან ერთად დაგმობს თვითონ სომეხთა შემარცხვენელ ავ წარმომადგენელთა ბოროტ ცრუპენტელობასა და ასევე ბოროტ მიმჩემებლობას. ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მე, თბილისში დაბადებულსა და, კერძოდ, დიდუბეში ეგრეთ წოდებულ იტალიურ ეზოში სომხებთან და იეზიდებთან გვერდიგვერდ გაზრდილს, აწ უკვე შორეულ 30-იან წლებზე ვლაპარაკობ, არასოდეს არ მიგრძნია ყოვლადსაძრახისი ურთიერთუპატივცემულობის ოდნავი გამოვლინებაც კი, რამაც უკვე დიდი ხანია, რაც ჩაილულის წყალი დალია და არაქსის წყალიც დააყოლა...

ახლა ისევ ჩვენს მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ, როგორც თქმულია, ჩვენი სახედრისა ვთქვათ...

რუსულ-სომხური „დამოუკიდებელი“ გაზეთის „ნოეს კიდობნის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია მოსკოველ სომეხთა თემის თავმჯდომარე **პარონ გრიგოლ ანასონიანი,** რომელიც, როგორც მთავარი რედაქტორი, ბუნებრივია, თავის გაზეთში ვრცლად ესაუბრება **„აფხაზეთის რესპუბლიკაში“** სომეხთა თემის თავმჯდომარეს, აფხაზეთის გმირს, დიახ, დიახ, გმირს, ვინმე **გალუსტ ტრაპიზონიანს,** საუბრის სათაური კი ასეთია: **„ჩვენ სტუმრები კი არა ვართ ამ მიწა-წყალზე, არამედ აფხაზეთის სრულფასოვანი მოქალაქენი ვართ“** (ეს სათაური გაზეთის პირველ გვერდზეც არის გამოტანილი!).

– რამდენად დიდია სომხური თემი აფხაზეთში? სად ცხოვრობენ სომხები აფხაზეთში? – ეკითხება ანისონიანი ტრაპიზონიანს, რომელიც ამაყად უპასუხებს:

– ოფიციალური მონაცემების თანახმად, აფხაზეთში 42 195 სომეხი ცხოვრობს – გალის, გულრიფშის, სოხუმის რაიონებში. სომხური მოსახლეობა უმთავრესად სოფლებშია თავმოყრილი. ოჩამჩირის რაიონში ორი ცნობილი სოფელია რიგიჩი და ლაბრა. ეს ლაბრა ომის დროს ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, ამ **სოფელში სამი აფხაზეთის გმირია.** ერთ-ერთი, **სამბატ კერსელიანი,** სოფლის თავკაცია. **ომში 244 სომეხი დაიღუპა...**

– როგორ აღმოჩნდნენ სომხები აფხაზეთში? – ახალ კითხვას აძლევს ანისონიანი.

– ამშენელი სომხები, – უპასუხებს აფხაზეთის გმირი გალუსტი, – აფხაზეთში 1915 წელს თურქეთში ჩვენი ცნობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ აღმოჩნდნენ. ჩვენი წინაპრები ზღვით მოადგნენ აფხაზეთის ნაპირებს. დასახლდნენ სოფელ აგარაკში და ნცარაში. **დღეს სომხები რიცხობრივად მეორე ხალხია აფხაზეთში.**

ჩვენ ვინარჩუნებთ ამშენურ დიალექტს, კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, სომეხნი აფხაზთა მადლიერნი ვართ, და **1992-1993 ძნელ წლებში დავამტკიცეთ, რომ ჩვენ სტუმ-**

ქვათა ღაღადი გრძელდება



რები კი არა ვართ ამ მიწა-წყალზე, არამედ სრულფასოვანი მოქალაქენი ვართ.

გალუსტ ტრაპიზონიანს არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ ამჟამად **აფხაზეთში 25 საშუალო სომხური სკოლაა,** რომ ახლახან გამართულ სომხური კულტურისა და მეგობრობის ფესტივალზე უაღრესად გულთბილი სიტყვით გამოვიდა თვითონ **რაულ ხაჯიმბა,** აფხაზეთის **ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი**.

ამ ვრცელ საუბარს გაზეთის თითქმის მთელი ერთი გვერდი უჭირავს. ასევე გაზეთის (უკვე არა თითქმის) მთელი ერთი გვერდი დათმობილი აქვს ვინმე მოსკოველი **მარინა** და **ჰამლეტ მირზოიანების** წერილს, რომლის ანშლაგი-სრაურია გარუსებული გერმანელი ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის **ევგენი გუსტავის ძე ვაიდენმაუმის** (1845-1918) სტრიქონი იმისივე **„კავკასიის გზამკვლევიდან“,** რომელიც შედგენილია ოლქის ჯარების მეთაურის დავალებით — **„გორი სამაზრო ქალაქია, სადაც 5.583 მცხოვრებია, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სომეხი“**.

წერილის რუბრიკაა — **„სომეხთა ისტორიის დავიწყებული ფურცლები“**. სათაურს რამდენიმე ასეთი სტრიქონი მოსდევს: 1783 წლის 24 ივლისს ქართველმა მეფემ ირაკლიმ გორში რუსებთან ტრაქტატი გააფორმა და საქართველო სრულიად რუსეთის იმპერატორთა ხელქვეითი ქვეყანა გახადაო. 1801 წლიდან გორი სამაზრო ქალაქად ითვლება, სადაც უკვე 1803 წლიდან სომეხთა რიცხვი 73,2 პროცენტს შეადგენდაო. მერე მცირე შესავლად მოყვანილია გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის თავად **ალექსანდრე ჯავახოვის (ივანე ჯავახიშვილის მამის)** ერთ-ერთი წერილის **(„ქალაქი გორი“)** ამონარიდი. წერილი გამოქვეყნებულია 1882 წელს **„კავკასიის ადგილმდებარეობისა და ტომთა აღწერისთვის მასალების კრებულში“,** რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს გამოუცია...

წერილის ვაიავტორები, ზემოხსენებული მირზოიანები, სულაც არ მომერიდება ამის თქმა: სომეხ-ქართველთა ჯანსაღი ურთიერთობის მართლაც რომ ქვეწარმავლური გესლით გაჟღენთილი მტრები, ჯერ ვაიდენბაუმს იხსენებენ, რომელიც თავის **„კავკასიის გზამკვლევში“** წერს, რომ ქართულ ჟამთაღწერაში გორი პირველად მოხსენიებულია **თამარის მეფობის ხანაში** (1174-1212), ხოლო XII საუკუნის სომეხი მემატიანის **მათე ედესელის** აზრით, გორი 1123 წელს დავით აღმაშენებელმა (ავტორები რატომღაც Возобновител-ს წერენ) დააარსა და მტერთაგან ლტოლვილი და საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი სომხებით დაასახლაო, გორის ციხეში დღესაც შემორჩენილია ძველი სომხური ეკლესიის ნანგრევებიო...

როგორც იტყვიან, აქამდე ჟურნალი იყო, კინო ახლა იწყება... ალექსანდრე ჯავახოვის დამოწმებით, თუ 1873 წელს სომხები მეტნი იყვნენ, ვიდრე 1886 წელს, თურმე ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ სომხები „გაქართველდნენო“, თავიანთი ენა დაივიწყეს და ქართულად დაიწყეს ლაპარაკიო (ამ უგუნური ლოგიკით, თითქოს პირიქით უნდა მომხდარიყო, ქართველები უნდა გადასომხებულიყვნენ, მაგრამ აქ სხვა ბნელი აზრია ჩადებული!).

ალექსანდრე ჯავახიშვილის (ჯავახოვის) „ქალაქ გორის“ ამონარიდის ციტირებას რომ ამთავრებენ, ავტორები მარინა და ჰამლეტ მირზოიანები, არა მარტო ღრმად ანტიქართულ, არამედ ღრმად ანტისომხური ლოგიკით ასკვნიან: **„პუბლიკაციის ავტორის სომეხი ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახოვის გვარმაც კოლორიტული „ქართველურობა“ შეიძინა, და უკვე ჯავახიშვილი გახდაო, რომლის შვილიც ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი 1939 წელს სსრ კავშირის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიესო**. და ამავე მასალაში ჩაჭრილია ცნობა ივანე ჯავახიშვილზე ფოტოსურათითურთ, სადაც ნათქვამია: **ივანე ალექსანდრის ძის მამა — ალექსანდრე ჯავახოვი, სომხური სისხლის ქართველი თავადიაო...** ა, ბატონო, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქართველს, ვინმე მარინასა და ჰამლეტას აზრით, **თურმე ძარღვებში სომხური სისხლი უჩქეფდა და 1896 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზეც იმიტომ შესულა, სადაც გაქართველებული, მამით შოტლანდიელი, სომხური ორიენტაციის ნიკო მარის მოწაფე გამხდარა.**

ამ მამისმამეულად ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქართველს მთელი ცხოვრება სომხური სისხლი უყიოდა თურმე, მაგრამ რა უნდა ექნა უკვე „გაქართველებულს“. აი, აქ უკვე თავით ფეხებამდე დიდი სიცრუის ჭაობში აღმოჩნდით, მარინაჯან და ჰამლეტჯან! ამის მერე ვაი, რომ აღარც მართალი დაგეჯერებათ!

როგორც ჩანს, ამ არა მარტო ცრუ, არამედ მავნე მოსაზრების კვერის დასაკვრელად, თუ როგორ ქართველდებოდნენ სომხები, მირზოიანებს ერთი უსუსური მაგალითი იქვე მოჰყავთ და თავის დროზე ფრიად **ცნობილ კომპოზიტორს გორელ ვანო მურადელს (1908-1970)** იშველიებენ, რომელიც ახალგაზრდობაში თავგადაკლული სტალინელი ყოფილა და გვარიც ქართულ ყაიდაზე გადაუკეთებია, რათა თავისი გვარი ქართული ჯუღაშვილის ჟღერადობისთვის შეეხმატკბილებინა. სახელიც გაიქართველა და, ბოლოს, ქართველი კომპოზიტორი გახდა, სსრ კავშირის სახალხო არტისტიო.

თქვე კარგო სომეხო ადამიანებო, რა ხდება, რაღა სულ მაინცდამაინც სომხები ქართველდებიან და დღემდე არც ვინმე გადიდსომხებული ქართველი გვინახავს და არც კიდევ გაპატარასომხებული?! ნუთუ ამაზე ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ! არადა, თქვენვე ღაღადებთ ამ ეგრეთ წოდებულ პუბლიკაციაში, რომ სომეხი სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, თავის იდენტურობას მაინც ინარჩუნებსო. პირდაპირ გასაკვირია, რაღა მაინცდამაინც საქართველოში ვერ ახერხებთ თქვენი იდენტურობის შენარჩუნებას?! ანდა, რა და სადაური წესია, თუ ადამიანი თავისთავს უკვე ქართველად ან სხვა ერის შვილად მიიჩნევს, დისტანციურად სისხლის ანალიზის ბინძური თითებით ქექვა?!

ამ თქვენს მავნებლურ პუბლიკაციაში, მოსკოველო მირზოიანებო, ბევრი სიყალბე და სისულელე სხვაც ბევრია, მაგრამ **„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა?!“** აი, თუნდაც **უფლისციხის** ამბავი ავიღოთ, რომელი ციხეც თქმულების თანახმად (ნეტავი რომელი თქმულებისა?!) **ალექსანდრე მაკედონელს დაუპყრია, ხოლო მერე სამადლოდ სომხების მეფეს არშაკს დაუმშვენებია ქრისტეს შობის წინარე.** მერე, ახლა უკვე 887 წელს, ქრისტეშობის აქეთ, **სომხების მეფეს აშოტ ბაგრატუნის დაურბევია უფლისციხე,** ხოლო X საუკუნის დამდეგს **აფხაზეთის მეფეს გიორგის დაუპყრია** ეს კლდეში ნაკვეთი ქალაქი **(ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, მიკვირს, რომ მირზოიანები ვერ ბედავენ იმის თამამად თქმას, ეს ქალაქი კლდეში სომეხ ოსტატთა ნახელავიაო!)**

ალექსანდრე ჯავახოვის (ცხადია, ქართული გვარი იმჟამინდელი მდგომარეობის თანახმად, რუსიფიცირებულია!) „ნასომხრობის“ დამადასტურებლად (სინამდვილეში კი თვითკრიტიკულობისა და მიუკერძოებლობის ნიმუშს) ეს ჩვენი მოსკოველი მარინა და ჰამლეტა „ქალაქ გორის“ ავტორის ნათქვამს, რომ ქართველებს უზრუნველი ცხოვრება გვიყვარს, მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და არ გვადარდებს ხვალინდელი დღე, რომ ჩვენი უდარდელობა ხშირად სიზარმაცეში გადადის, რომ ქართველები და სომხები გარეგნულად თითქმის ერთნაირნი ვართ, მაგრამ ხასიათებით ძალიან განვსხვავდებით, რომ სომეხთ ახასიათებთ ენერგია, შრომისმოყვარეობა, მომხვეჭველობა, ჩარჩობის უნარი, რომ დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს, რომ 20 პროცენტზეც თანახმანი არიან ამჟამად, ვიდრე 150 პროცენტზე სამი წლის მერე...

იყენებენ როგორც **ალექსანდრე ჯავახოვში (ჯავახიშვილში) სომხური სისხლის ყივილს,** წერილის ამ ნაწილს ასეც ჰქვია: **„უზრუნველუდარდელი ქართველები და ხავერდის ჩოხაში გამოწყობილი სომხები“**. ძალიან მიკვირს, რომ ასეთ ავად ჩასაფრებულ ავტორთ **ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერიც“** (რომლის დაწერის უფლებაა მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა!) არ გამოიყენეს ქართველთა „სალანძღავად“, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ილიასავე **„ქვათა ღაღადის“** გახსენებაც მოუწევდათ და თავი აარიდეს ხელმეორედ „ჩაქოლვას“.

და დაცურავს ასე თავის ნებაზე მიშვებული რუსულ-სომხური „ნოეს კიდობანი“, თანაც ერთი კი არა, როგორც უკვე ვთქვი, 195 ათასი ცალი. პირდაპირ საოცარია, ნუთუ იმ ჭკუადამჯდარმა, გონებაშეკრებილმა 600 წლის ნოემ ამდენ სულიერ და უსულოსთან ერთად **ესოდენი სიბრიყვე, სიცრუე და სიყალბეც შეიტანა გადასარჩენად** თავის ურთხელის კიდობანში, რომლის მიხედვითაც შექმნილი თავიანთი ქაღალდის „ნოეს კიდობნიდან“ ჩვენი სომეხი „მეგობრები“ მხოლოდ და მხოლოდ **ესოდენ სიბრიყვეს, სიცრუესა და სიყალბეს ქადაგებენ,** რომლის მოსმენასაც, როგორც ერთი ჩვენი სულგანათლებული წინაპარი იტყოდა, **სჯობს ყურში თითის დაცობა. თუმცა ეს აზრი ყოველთვის, მით უმეტეს, ახლა არ გამოდგება. პირიქით, კი არ უნდა დავიცოთ, უნდა გამოვიღოთ ყურიდან ის დაცობილი თითი და ჩვენი მართალი და საკადრისი სიტყვა დავადევნოთ სომეხთა ისტორიის ვითომ დავიწყებული ფაქტების რუსულ-სომხურ ქაღალდის „ნოეს კიდობანს“...**

ის იყო წერტილი უნდა დამესვა ამ ჩემი სამართლიანად გაბრაზებულ გულზე დაწერილი „უსტარისთვის“, რომ „ნოეს კიდობნის“ ფერადი ჩანართი მომხვდა თვალში — **„სომხეთი მსოფლიო კარტოგრაფიაში“**. ერთ-ერთ, მე-3 რუკაზე, მითითებულია, რომ **ალბანეთთან და დიდ სომხეთთან** ერთად აღნიშნულია **იბერია** და **კოლხიდაც,** ხოლო ეს ორივე ოლქი დღეს საქართველოს შემადგენლობაშიაო (ყრუდ, ვირეშმაკური გულისტკივილით ამბობს ასევე ვინმე ნოეს კიდობნელი ავტორი **რუბენ გალჩიანი**).

სათქმელი, ცხადია, კიდევ ბევრია, მაგრამ ჯობს, აქ დავათავო. თუ რამ საყვედურია ჩემგან ამ წერილში გამოთქმული თვითონ ქართველებისა და უწინარესად ქართველ ისტორიკოსთა მიმართ, რა თქმა უნდა, ისტორიაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ყველა ქართველ მამულიშვილს თანაბრად გვეკუთვნის. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ არცთუ კარგი საქმის შორს გამიზნულად მქადაგებელი რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ რიცხვმრავალ სარედაქციო კოლეგიაში ორი ქართველიც ურევია . ერთი არ ვიცი, ვინ არის — **გიორგი ყოლბაია,** მეორის სახელ-გვარის ამოკითხვამ კი, მართალი გითხრათ, კინაღამ გული გამიხეთქა. **ეს ქართველი ცნობილი რუსულენოვანი მწერალი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ებანოიძეა** (აი, თურმე როგორ ესმით მოსკოველ ქართველებს ხალხების **„დრუჟბა“**).

„კიდობანს“ თბილისშიც ჰყავს კორესპონდენტი **ირინა ინაშვილი,** ყოჩაღ, ირინა! „კიდობნის“ ყოველ ნომერში ვრცელი წერილების გარდა, არცთუ სახარბიელო თბილისური ამბების მთელი მოზრდილი სვეტია — **„ცნობები თბილისიდან“**.

მოდი ახლა შენ და გაგიკვირდეს ამ ეგრეთ წოდებული გაზეთის გენერალური დირექტორისა და მთავარი რედაქტორის **(პატველ) პატივცემული გრიგოლ ანისონიანის** ანტიქართული პოზიცია!

აწ ისღა დამრჩენია ძველ ქართველ ზღვაოსანთა დარად და მსგავსად რუსულ-სომხურ ქაღალდის „ნოეს კიდობანს“ „უდარდელ და უზრუნველ, ზარმაც ქართველთა“ სახელით მოსკოვში, უფრო სწორად, ყველგან გასაგონად გავძახო: **არა წყალმშვიდობისა, არა ზღვამშვიდობისა! რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ მთავარო კაპიტან-რედაქტორო (ჰარგელ) უპატივცემულეესო გრიგოლი ანისონიანო!**

ისე, იმ ერთი ბრძენკაცისა არ იყოს, ნურც იმას იგულმავიწყებთ, რომ საერთოდ ისტორიას და ამ შემთხვევაში თქვენს ისტორიას, გულღრძო კაცთაგან ქართველთა „მძულვარე სიყვარულით“ გაჟღენთილს, მთელ სიცრუეს თუ გამოვწურავთ, ხელთ მხოლოდ ხალასი სიმართლე შეგრჩებათ. არ დაიჯეროთ, სინამდვილეში არც არაფერი არ შეგრჩებათ.

გურამ გოგიაშვილი

17.X.2018 წ.

P. S.

ზოგს იქნებ გადაზედმეტებულად ეჩვენოს ეპითეტები **გაცრუკაცებულნი მჯღაბნელნი ძვეწარმავალნი,** მაგრამ მე, ეროვნებისდა მიუხედავად, ყველა გაცრუკაცებულ მჯღაბნელ ქვეწარმავლად მიმაჩნია, ვინც ერების ერთმანეთზე ავად გადაკიდებით არის დაკავებული.

ისე, უმეცარი და გულღრძო სომეხი იქნება თუ ქართველი, სულერთია. ორივე ნაგავია. ეს წერილი კარგი, შეგნებული სომხების გულისხმაში ჩასავარდნად და კარგი ქართველების ყურადსაღებად დავწერე.

აქვე ჩვენი საერთო ბრძენკაცის, ჭეშმარიტად დიდი კავკასიელის, ცხონებული საიათნოვას ლექსსაც ამიტომ გთავაზობთ.

მეზობელზედ

რა კაცს მეზობელზედ თვალი უჭირამს,
ის არა იქს გაცემასა, ჭამასა!
ავს კაცს რაში უჯობს გვარიშვილობა, —
შეაგინებინებს კაი მამასა!
ზოგი კაცი დადის ჭიანყელასავით,
გველის შხამი უძევს პირში იმთავით!
ავის კაცის ჭირი იქნება ავით, —
ნათქვამია, მე არ ვამბობ ამასა!..
ცუდი კაცი მკვდარივით აყუდია,
ან რათ უნდა, რათ ახურამს ქუდია!
ვინც რომ აქლემსავით ტანში მრუდია,
რაზედ იზამს ხიდზედ კისრის ზმანასა?
თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა,
არცა მუხის ქერქი დარიჩინათა!

როგორც აწ განსვენებული ჩემი მეგობარი ზაზა მედულაშვილი იტყოდა, რაც „ჯერ კიდევ ორი საუკუნის მეტი ხნის წინათ აგრერიგად შეგნებული ჰქონდა კეთილმეზობლობის მადლი სამენოვან თბილისელ აშუღსა და სახალხო მგოსანს, უბადლო საზანდარ-მომღერალსა და თავისი დროის თბილისური ბოჰემის ერთ-ერთ უპირველეს კოლორიტს — საიათნოვას“, სამწუხაროა, თანაც დიდად, რომ აგრერიგადვე შელანძღულია იმ ცრუ, ვითომ პატრიოტთაგან, თავიანთივე ხელით შეკრულ, ახალ, ჩაბნელებულ „კიდობანში“ რომ სხედან, „ნოეს კიდობანს“ სარკმელი მაინც ჰქონდა (საიდანაც მტრედი გამოაფრინა!) და ვერ მიმხვდარან, რომ გარეთ უკვე XXI საუკუნეა, როცა ყველანაირი ქურდობა, მით უმეტეს, ისტორიის დაყაჩაღება, მთელი მსოფლიოსთვის აშკარა ხდება.

ერთი სიტყვით, კარგი ადამიანები უკადრებელს არასოდეს არ კადრულობენ!

ვნახოთ ერთი, ასეთი გეზით როდემდე და სადამდე იცურებს, პარონ ანისონიანის კაპიტნობით ეს, ბევრი თვალსაზრისით მავნე, რუსულ-სომხური „ნოეს კიდობანი“!..

გ. გ.

დასავლეთს დაჩოქილი რუსეთი ურჩევნია, მაგრამ...

„მოკრძალებული“ რჩევა ქართველ პოლიტიკოსებს

„ბატონო პრეზიდენტო, საიდუმლოდ უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა არ იცის შედეგი. მან იცოდა ჩვენი შეხვედრის თაობაზე , მე თვითონ ვუთხარი მას ამის შესახებ. ცხადია, ჩვენ დაუყოვნებლივ გავუგზავნით მას ჩვენი შეთანხმების ტექსტს, რომლიდან გამომდინარეც მან უეჭველად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენთან ძალიან, ძალიან გულგახსნილი ვარ. ჩვენ, ოთხი ქვეყანა, ვთვლით, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არის ერთი. ჩვენ არაფერს გავაკეთებთ დამალულად. ჩვენ დაუყოვნებლივ გადავცემთ ჩვენს განცხადებას პრესას. ველით თქვენი მხრიდან გაგებას.“ — ეს სატელეფონო საუბარია რუსეთის პრეზიდენტ ელცინსა და აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსს შორის, რომელიც 1991 წლის 8 დეკემბერს გაიმართა ბელარუსის ბელოვეჟის ტევრიდან — რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ.

ბელოვეჟიდან რამდენიმე დღეში საბჭოთა კავშირი დაიშალა, რის შესახებაც მისმა პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა მოსახლეობას საგანგებო სატელევიზიო გამოსვლით აცნობა.

იმჟამად თბილისში ომი იყო ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის გამსახურდიას წინააღმდეგ, ამდენად გორბაჩოვის განცხადებას დიდი ზეიმი არ მოჰყოლია. საქართველოს სხვა პრობლემები ჰქონდა — ძმათა მკვლელი ომი.

პრეზიდენტ ელცინის სატელეფონო საუბარი ამერიკელ კოლეგასთან ნათელი დამადასტურებელი ფაქტია გორბაჩოვის ზეობის დროს ჩამოყალიბებული პროამერიკული და დამთმობი პოლიტიკის გაგრძელებისა!

გორბაჩოვის ლიბერალიზმმა, დასავლეთისადმი მონურმა განწყობამ, ეკონომიკისა და ფინანსების თავდაყირა დაყენებამ, საბჭოთა ძალოვნების და კომუნისტური პარტიის დისკრედიტაციამ, ბეჭებზე დადო საბჭოთა იმპერია და მას აღარაფერი დაუტოვა, თვითლიკვიდაციის გარდა.

დაშლილი საბჭოთა კავშირი და ამ კავშირიდან გამოსული თავისუფალი სოციალისტური ქვეყნები, რის ვაი-ვაგლახით დაადგნენ საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის გზას. გუშინდელ ძმებს შორის უცებ გაწყდა კავშირი ყველა დარგში. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დაიწყეს ახალი ცხოვრების შენება.

ეს პროცესი ბნელ ოთახში იატაკზე დავარდნილი რკინის ფულის ძებნის მსგავსი იყო. დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებიდან თითქმის 30 წელიწადი გავიდა. სამწუხაროდ, ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ იატაკზე დავარდნილი ფულის ძებნას და, როგორც ჩანს, ვერ ვიპოვით.

დანარჩენებმა რაღაც იღონეს, რაღაცას მიაღწიეს, მეტ-ნაკლები წარმატებით, ჩვენ ისევ ვეძებთ. თითქოს ამ ძებნაში „ახალი ძმები“, სტრატეგიულ პარტნიორებად მონათლულნი, გვეხმარებიან, მაგრამ გვირაბის ბოლოს შუქი არ ჩანს.

რას შეიძლება მივაწეროთ ყოველივე ეს? — უპირველესად გულუბრყვილობას, ვიღაცაზე მინდობას და მისთვის საკუთარი პასუხისმგებლობის აკიდებას. რატომღაც თანამედროვე ქართველმა იფიქრა, რომ „ღმერთის წილხვედრი ქვეყნის“ რჩენა მთელი მსოფლიოს ვალია და თავისი გასაკეთებელი სხვას გადაუმისამართა.

სულ ახლახან აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა კლინტონ-ელცინის სატელეფონო ჩანაწერები, რამაც მკითხველი კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმ მოღალატურ პოლიტიკაში, რომელსაც დამოუკიდებელი რუსეთის პირველი პრეზიდენტი ელცინი ატარებდა. ცნობილი ფაქტია ელცინ-კლინტონის „მეგობრული“ ურთიერთობები, თუმცა „თეთრი სახლი“ და ამერიკული პოლიტიკა ე.წ. მეგობრობას საკუთარი სარგებლის მოპოვებასაც კარგად უხამებდა.

სწორედ ელცინის დროს მოხდა ამერიკული ბიზნესის მიერ რუსეთის სამხედრო-სამრეწველო ქარხნების ცენტებში შეძენა. იყიდებოდა არა მარტო უნიკალური სამრეწველო ობიექტები, არამედ სამხედრო-საზღვაო და სატვირთო გემები, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ობიექტები.

რუსეთის ეკონომიკა აშშ-ის ხელში აღმოჩნდა. ქვეყანა გახდა მესამეხარისხოვანი, აშშ-ის დანამატი. ლიბერალურმა რუსეთმა, ანტირუსულად განწყობილმა და აშშ-ის მეხოტბემ, ისეთი „საამური“ ცხოვრება შექმნა, ჭკვიანი და განსწავლული რუსები რომ მასობრივად მიაყენა აშშ-ის კარს. 200000-ზე მეტი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღო აშშ-ის ბიზნესმა, კვლევითმა ცენტრებმა, რამაც არნახული წარმატება მოუტანა მათ. სტატისტიკის მიხედვით, ელცინის წლებში არსებული დემოგრაფიული ვითარება გაუტოლდა მეორე მსოფლიო ომის (1943-44) მდგომარეობას.

კითხულობთ სატელეფონო ჩანაწერებს და უმალ ფიქრობთ — რამდენად დაცემული უნდა ყოფილიყო უზარმაზარი რუსეთი და მისი პოლიტიკა, რომ პატარა ბავშვივით ანგარიში ჩაებარებინა ამერიკის ხელისუფლებისთვის. ამ სატელეფონო საუბრებიდან ხანდახან გამოსჭვივის დიდი რუსეთის ამბიციებიც — ერთობ დაუბალანსებელი და დღევანდელი ვითარებისთვის გამაღიზიანებელი, თუნდაც ასეთი:

ელცინი: „ბილ, ერთ რამეს გთხოვ - დაუთმე რუსეთს ევროპა. აშშ-ი არ არის ევროპაში. ევროპით ევროპელები უნდა დასაქმდნენ. რუსეთი სანახევროდ ევროპაა, სანახევროდ აზია“.

კლინტონი: „შენ, რა აზიაც გინდა?“

ელცინი: „აბა რა, ბილ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მოვილაპარაკებთ ამის შესახებ“.

კლინტონი: „მე ვფიქრობ, რომ ევროპელებს ეს არ მოეწონებათ“.

ელცინი: „არა ყველას, მაგრამ მე ევროპელი ვარ. ვცხოვრობ მოსკოვში — ეს ევროპაა. მე, ეს მომწონს. შენ შეგიძლია დარჩენილი მსოფლიოს ქვეყნები აიღო და უზრუნველყო მათი უსაფრთხოება. მე კი ევროპის უსაფრთხოებას უზრუნველვყოფ“.

კლინტონ-ელცინის სატელეფონო საუბრები უფრო ხუმრობას ჰგავს, მაგრამ ძველი გამოთქმისა არ იყოს — ყველა ხუმრობაში არის სიმართლის მარცვალი.

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ისეთი მძიმე და ავისმომასწავებელი, როგორიც დღეს. ის გაცილებით მძიმეა, ვიდრე „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც ორმა დაპირისპირებულმა პოლუსმა კარგად იცოდა საკუთარი მოქმედების ჩარჩოები. დღეს ჩარჩოები აღარ არსებობს და ისეთი შეტევა მიმდინარეობს რუსეთზე, უარესს რომ ვერ ინატრებდა ამერიკელი ნეოკონსერვატორებიც.

კლინტონ-ელცინის სატელეფონო საუბრის გამოქვეყნება რუსეთზე 2007 წლიდან დაწყებული შეტევის გაგრძელებაა და ანტირუსული განწყობისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით ევროპელების, რომელთა ქვეყნებსაც ელცინი იჩემებს.

აშშ კოლექტიური დასავლეთი — ყოველთვის აღტაცებული გორბაჩოვ-ელცინის მოღალატური პოლიტიკით, დარწმუნებული იყო რუსი ლიბერალების მონურობაში. მაგრამ ვითარება კარდინალურად შეიცვალა ხელისუფლებაში პუტინის მისვლის შემდეგ. 2007 წელს კი მიუნხენის კონფერენციაზე წარმოთქმულმა სიტყვამ — ერთობ პირდაპირმა და დასავლეთის დამადანაშაულებელმა, მძლავრად შეანჯღრია დასავლური პოლიტიკური სისტემა და დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ახალი დაპირისპირება შექმნა, უფრო სწორად, ძველის, ისტორიულის რეანიმაცია მოახდინა.

მეფის რუსეთი ყოველთვის ჰქონდა ყელში გაჩხერილი დიდ ბრიტანეთს, ევროპის გავლენიან სამეფო კარს, მოგვიანებით აშშ-ს. განსაკუთრებული დაპირისპირება იყო საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ახალგაზრდა ქვეყნის წინააღმდეგ სისტემატიურად წესდებოდა დასავლური სანქციები. ზოგიერთი ამას კლასობრივი, იდეოლოგიური ბრძოლით ხსნიდა.

მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ თუ ამას ჰქონდა ადგილი, მხოლოდ უმნიშვნელოდ. მთავარი იყო და არის თვით რუსეთი, რამაც გამოიწვია და იწვევს რუსეთის წინააღმდეგ ყველა სახის ომს — „ცხელის“ გარდა. ისიც ჯერჯერობით, ვინაიდან ბირთვულ ეპოქაში „ცხელი ომი“ თვითმკვლელობის საწინდარია. და რომ არა ორივე მხარეს არსებული ბირთვული არსენალი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაერთი ომი გაჩაღდებოდა.

დასტური ამისა ისევ აშშ-ის არქივების გამომზეურებაა, სადაც შავით თეთრზე წერია საბჭოთა კავშირის ატომური ბომბებით განადგურების შესახებ. ჩვენი ამერიკელი პარტნიორების წინაპრებს არ დაუშურებიათ ბირთვული ბომბები საბჭოთა კავშირისთვის, მათ შორის თბილისისთვისაც, თუმცა ვითარების ღრმა განალიზების შემდეგ ეს მზაკვრული გეგმა ორმოცდაათიანი წლებისთვის გადაუდიათ.

გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა საბჭოთა ატომური, წყალბადის ბომბების და სარაკეტო შეიარაღების გამოჩენამ.

საბჭოეთის დაშლის დღემდე ამ ქვეყანას არასასურველი სამხედრო გამოწვევა არ მოჰკლებია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ე.წ. რუსულ შეკავებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პუტინის ხელისუფლებაში მისვლისთანავე, აშშ-მა დაიწყო ევროპის ქვეყნებში ანტისარაკეტო სისტემების განთავსება; აღმოსავლეთ ევროპის ნატოში გაწევრება; რუსეთის საზღვრებთან ნატოს ჯარების მიბჯენა; ყოფილ საბჭოთა სივრცეში ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების მომზადება-განხორციელება; რუსეთის ირგვლივ სამხედრო რკალის ჩამოყალიბება; უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის აბუნტება, მათი გადაბირება და ანტირუსულად განწყობა.

ზეწოლა არამარტო იარაღის მეშვეობით ხორციელდებოდა, არამედ პროპაგანდით, ტყუილი სატელევიზიო სიუჟეტებით. „ყველაფერში დამნაშავეები რუსები და პუტინი არიან“ — ასე ღაღადებენ დასავლური მედიასაშუალებები. ვერ ნახავთ ვერც ერთ დარგს — კულტურიდან დაწყებული, სამხედრო-პოლიტიკურით დამთავრებული, რუსეთს და მის პრეზიდენტს არ ლანძღავდეს.

თვით „დასჯილი“ რუსეთი როგორ არის? — იკითხავს მავანი. ცხადია, ეკონომიკურმა სანქციებმა შეაფერხა მისი განვითარების ტემპები, მაგრამ არა ისე, როგორსაც დასავლეთი გეგმავდა. რუსეთმა გამოძებნა შიდა რესურსი და სანქციური პოლიტიკა თავის სასარგებლოდ აქცია, ანუ თვით დაიწყო იმ პროდუქციის წარმოება, რასაც ევროპიდან იღებდა.

განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნება სოფლის მეურნეობაში. ბოლო წლებში ხორბლის და მარცვლეულის დამზადებაში რუსეთმა სარეკორდო მონაცემები აჩვენა. შესაბამისად გაზარდა ექსპორტიც. დღეს რუსული ხორბალი პირველია მსოფლიოში. საექსპორტოდ გადის ქათმის, საქონლის, ღორის ხორცი, სხვა პროდუქტები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტით შემოსულმა თანხამ იარაღით ვაჭრობის თანხას გადააჭარბა. 1.5%-ით გაიზარდა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რაც ნაკლებია, ვიდრე აშშ-ი და ევროკავშირში, აღარაფერს ვამბობ ჩინეთზე. მაგრამ მსოფლიოს ინსტიტუტების გათვლით, სამომავლო ეკონომიკური ზრდა სრულიად მოსალოდნელია.

როგორც ჩანს რუსეთმა გაუძლო ეკონომიკურ სანქციებს და წარმატებებსაც აღწევს, მაგრამ ამის არ სჯერათ ქართველ ექსპერტებს. ბატონი რამაზ საყვარელიძის მიხედვით, რუსეთში ისეთი უმძიმესი ეკონომიკურ-სოციალური ვითარებაა, ელცინის დროს რომ იყო.

როგორც ჩანს, ექსპერტს არასდროს შეუხედავს რუსეთის ეკონომიკისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამას არ იტყოდა. მაგრამ იქნებ სულ სხვაშია საქმე, ანუ რუსეთის მუდმივ „გაშავებაში“? და საყვარელიძეც „აშავებს“ — ხალხს უქმნის ტყუილ წარმოდგენას მეზობელ ქვეყანაზე, რათა საქართველოს მოსახლეობას მუდამ ცუდი წარმოდგენა ჰქონდეს მასზე. ქვეყნისთვის „დამაშვრალიც“ ამას ჰქვია.

ყოჩაღ! საყვარელიძის მსგავსთა ძალისხმევით საქართველომ მუდამ ამერიკა-ევროპაზე უნდა იფიქროს, მუდამ მას უნდა ეთაყვანოს, ვინაიდან მხოლოდ დასავლეთი ეგულება დიდ ურჩხულთან მეომარი. დასავლეთი კი ომობს „ჰიბრიდულად“, პროპაგანდისტულად, „სკრიპალურად“, იდლიბურად, უკრაინულად, სპორტულად, მართლმადიდებლურად, ...და ამ საქმეში ფასდაუდებელია ქართული მედიის, პოლიტოლოგიის, პოლიტიკის, არასამთავრობო სექტორის ძალისხმევა.

ვლანძღავთ და ვლანძღავთ მეზობელ რუსეთს, პრობლემებს ვუქმნით და ვერც კი ვფიქრობთ, რომ პრობლემებიანი რუსეთი უპირველესად ჩვენთვის არის უფრო საშიში. შორია დასავლეთამდე, მითუმეტეს აშშ-მდე. რუსეთი კარის მეზობელია. ნორმალური ურთიერთობების შემთხვევაში, ხორბალს და წყალს ხომ მაინც არ დაიშურებს?!

დასავლეთს გაცილებით ურჩევნია ელცინის დროინდელი, დაჩოქილი რუსეთი. როგორც სენატორი მაკკეინი ამბობდა — „ბენზინგასამართი“ ქვეყანა, მესამეხარისხოვანი, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს...

მაგრამ რუსმა ხალხმა არ იგუა ძალთა არასამართლიანი გადანაწილება. მან პატრიოტიზმის გზა აირჩია, რასაც მიუხედავად მძიმე სანქციებისა და მწვავე გამოწვევებისა, წარმატებით ართმევს თავს. დღეს რუსეთის ხსენებაა ყველგან და ყველა საკითხში — აშშ-ში გამართული საპრეზიდენტო არჩევნებიდან დაწყებული, უკრაინაში „განხორციელებული აგრესიით“ დამთავრებული.

რუსეთია ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სირიაში და ეხმარება ბაშარ ასადს ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. თანამედროვე რუსული ზებგერითი (15-20-ჯერ მეტი) იარაღი სერიოზულად აფიქრებს დასავლეთს. არადა, რახანია, გააფრთხილა ის კრემლმა — ნუ განათავსებთ ევროპაში ანტისარაკეტო სისტემას, ვინაიდან მსოფლიო სამხედრო ბალანსს არღვევსო.

არ დაუჯერეს! შედეგმაც არ დააყოვნა. დასავლეთისგან შევიწროებულმა რუსეთმა, სამხრეთ-კორეის ოლიმპიურ თამაშებზე, განახევრებული გუნდით წარმატება აჩვენა, ხოლო ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი არნახული აღმავლობით ჩაატარა.

საგონებელში ჩავარდნილი დასავლეთი, ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე შტამპავს და შტამპავს ანტირუსულ სანქციებს, მაგრამ უშედეგოდ. ვერ შესრულდა ამერიკული პროგრამა რუსეთის შეკავებისა, ვინაიდან დასაწყისიდანვე აბსურდულად მოსჩანდა.

მკითხველმა განსაჯოს, რამდენად შეიძლება 13 მილიონ კვ. კილომეტრზე გადაჭიმული ქვეყნის იზოლირება, რომელსაც 18 უშუალო მეზობელი ჰყავს და რომლის ნაპირებს 13 ზღვა და ოკეანე აკრავს.

წიაღისეულით მდიდარი რუსეთი ყოველთვის იქნება ხარბი დასავლური თვალის ყურადღების ქვეშ და მასთან ერთად გამოგონილი ზღაპრების ობიექტი, მაგრამ მისი წაქცევა აუხდენელ ოცნებად დარჩება. ასე რომ, ვურჩევდი საქართველოს ხელისუფალთ, საღი გონებით შეეფასებინათ რუსეთის რაობა, თვალი გაესწორებინათ სინამდვილისთვის და ისეთი გადაწყვეტილებები მიეღოთ, სამშობლოს რომ წაადგება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დანიის საპენსიო სისტემა

დანიის საპენსიო სისტემას მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევს სარეიტინგო კომპანია Mercer-ი. 65 წლის ასაკს მიღწეული ადამიანისათვის განკუთვნილი თანხა დანიელ პენსიონერს საშუალებას აძლევს, იცხოვროს უდარდელად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალგაზრდა ასაკში გაცილებით მცირე ანაზღაურება ჰქონდა ან, რაიმე მიზეზის გამო, საერთოდ არ მუშაობდა.

უკრაინის ყოფილმა მოქალაქემ, კოპენჰაგენის ქუჩებში შეხვედრილმა პენსიონერებმა და ექსპერტებმა რადიო თავისუფლების ტელეპროექტ „ნასტოიაშჩეე ვრემიას“ უამბეს, თუ ვინ და რა ოდენობის პენსიას იღებს დანიაში, და რაზეა დამოკიდებული ამ თანხის მოცულობა.

„სიღარიბე პენსიონერებს შორის ძალიან უჩვეულოა“

დანიის საპენსიო სისტემა ორი ძირითადი ელემენტისგან შედგება – ესაა სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსია და პენსია, რომელსაც ადამიანი იღებს საპენსიო ფონდიდან. სახელმწიფო პენსია გამოითვლება ასე: თუ ადამიანს ჰქონდა მაღალი შემოსავალი და აქვს დიდი დანაზოგი, მაშინ საპენსიო თანხა იქნება დაბალი. და, პირიქით, თუ ადამიანს არ ჰქონდა დიდი ხელფასი ან საერთოდ არ უმუშავია, მაშინ სახელმწიფო მას უფრო მეტს გადაუხდის, – გვიამბობს ტორბენ ანდერსენი, ორჰუსის უნივერსიტეტის პროფესორი.

სახელმწიფო პენსია ხანდაზმულ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აირიდონ სიღარიბე. ხოლო საპენსიო ფონდის პენსია – პროპორციულია იმ შემოსავლისა, რომელიც მას შრომითი საქმიანობის დროს ჰქონდა.

ვისაც არა აქვს საპენსიო დანაზოგი, ის იღებს ე.წ. საბაზისო პენსიას. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მარტო ცხოვრობს, ეს თანხა შეადგენს 18 ათას დანიურ კრონს (დაახლოებით 2800 დოლარს). ამ თანხიდან პენსიონერი იხდის გარკვეულ გადასახადებს. თუმცა თანხა მაინც საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლებულად იცხოვროს, – ამბობს პროფესორი ანდერსენი და დასძენს, რომ „დანიაში ხანდაზმულ ადამიანებში სიღარიბე საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა“. როგორც წესი, ეს ეხებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყანაში ჩამოვიდნენ ასაკში მყოფნი. ასეთ კატეგორიას მხოლოდ სახელმწიფო პენსიის ნაწილის მიღების იმედი უნდა ჰქონდეს.

სრულფასოვანი საბაზისო პენსიის მისაღებად საჭიროა 40 წელიწადის ბინადრობა. მაგრამ კომუნის ადმინისტრაციამ (ადმინისტრაციული ერთეულია) განიხილა ჩემი საქმე და თანხა საარსებო მინიმუმამდე გაზარდეს.

მაგალითისათვის თუ ავიღებთ არცთუ შეძლებულ, საშუალო დანიელს, მაშინ მისი პენსია მისივე შრომითი შემოსავლის დაახლოებით 65-70% იქნება. ეს, კაცმა რომ თქვას, საკმარისია ცხოვრების ჩვეული ნორმის შესანარჩუნებლად, ვინაიდან ხანდაზმულობაში ადამიანს ზოგიერთი ხარჯის გაღება აღარ უხდება.

ცხოვრების დაწყება პენსიაზე გასვლის შემდეგ

ოლგა ფრუერლუნდი 79 წლისაა, იგი დანიაში სევასტოპოლიდან ჩავიდა 18 წლის წინ. იმ დროისთვის ის უკრაინაში უკვე პენსიაში იყო გასული 55 წლის ასაკში, მაგრამ გაჭირვების გამო ძლივს გაჰქონდა თავი. ევროპაში ქალი იმიტომ წავიდა, რომ იქიდან ქალიშვილს დახმარებოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ქალიშვილი გარდაიცვალა და ოლგას სარჩენი გახდა მისი სამი შვილიშვილი.

დანიაში ოლგა გათხოვდა, შეისწავლა ენა და კვლავ დაიწყო მუშაობა. იმ დროისათვის იგი 60 წლისა იყო. ხუთი წლის თავზე, ოლგა პენსიაზე გავიდა მაღაზიის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან. მაგრამ გაირკვა, რომ იგი ვერ მიიღებდა სრულფასოვან საბაზისო პენსიას, ხოლო პირად საპენსიო ფონდში მას ძალიან ცოტა ჰქონდა დანაზოგი ქვეყნაში მუშაობის მცირე სტაჟის გამო.

„იმ დროისთვის მე დანიაში უკვე 8 წელიწადი მქონდა ნაცხოვრები, სრულფასოვანი საბაზისო პენსიის მისაღებად საჭიროა 40 წელიწადის ბინადრობა. მაგრამ კომუნის ადმინისტრაციამ განიხილა ჩემი საქმე და თანხა საარსებო მინიმუმამდე გაზარდეს“, – ჰყვება ოლგა.

მოგვიანებით ოლგას მეუღლე გარდაიცვალა და იგი მარტო დარჩა, რამაც ასევე იმოქმედა სიტუაციაზე. დანიის კანონმდებლობით, როცა საპენსიო ასაკის ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვლება, მის მიერ დაგროვილ თანხას ქვრივი ღებულობს. მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში იცვლება სახელმწიფო პენსიაც, რათა ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა არ აღმოჩნდეს.

„თუ საპენსიო თანხა არ გყოფნის, მიდიხარ კომუნაში და ელაპარაკები საკუთარ radgiver-ს – პირს, რომელიც დაგეხმარება სწორი გადაწყვეტილების მოძებნაში. მაგალითად, მე მჭირდებოდა ფული კბილის პროთეზის გასაკეთებლად – სახელმწიფომ იგი ნაწილობრივ ამინაზღაურა. მაგრამ ისინი ნახავენ შენს შემოსავალს: თუ გაქვს შესაძლებლობა, რომ თავად გადაიხადო ეს თანხა, მაშინ უარს მიიღებ“, – გვიყვება პენსიონერი ქალი.

პენსიონერებისათვის დანიაში ბევრი შეღავათია გათვალისწინებული. ძირითადად ესაა უფასო მედიცინა და დანამატი ბინის არენდაზე.

ვინც ქვეყანაში დიდ ხანს ცხოვრობს და აქვს დანაზოგი, შეუძლია თავს სახლის ყიდვისა და მდიდრულად ცხოვრების უფლება მისცეს, ამბობს ოლგა ფრუერლუნდი. თავად იგი ქირაობს მცირე (45M²) ბინას კოპენჰაგენის იმ რაიონში, სადაც ბევრი პენსიონერი ცხოვრობს.

როცა პენსიაზე გავედი, დამეუფლა განწყობა, რომ ჩემი ცხოვრება მხოლოდ დაიწყო – ქვეყანაში ძალიან დიდი შესაძლებლობებია უფროსი თაობის ადმიანებისათვის.

„მე ვერ მოვასწარი ამ სახელმწიფოსათვის მიმეცა ის, რაც ჩემს სახელმწიფოს მივეცი. მაგრამ, ამის მიუხედავად, მე შესაძლებლობა მომცეს, მეცხოვრა ცალკე ბინაში“, – ამბობს ოლგა. იგი ამ ბინის რიგში მთელი წლის განმავლობაში იდგა. კომუნა ფარავს ბინის ქირის ნაწილს მისი შედარებით მცირე პენსიის გამო.

რადგან კბილის პროთეზი გაიკეთა, წელს იგი ვერ შეძლებს საზღვარგარეთ დასვენებას, მაგრამ იმედი აქვს, რომ დაზოგავს თანხას მომავალი წლისთვის. **„მაგრამ ყველაფერი ძალიან მოკრძალებულია ხარჯების თვალსაზრისით. წელს მე შემიძლია 3000-4000 კრონის (470-620 ამერიკული დოლარის) შეგროვება სამოგზაუროდ – იმისთვის, რომ დავისვენო ან რამე დავათვალიერო. თუმცა შვილიშვილებიც დამეხმარებიან“.**

„უსაფრთხოების ბალიში“

კოპენჰაგენის ყველა რაიონში არსებობს ცალკეული ორგანიზაციები – Aeldre Sagen. ისინი ხანდაზმულ ადამიანებს ეხმარებიან და აძლევენ შესაძლებლობას, მაგალითად, ისწავლონ უცხოური ენა, ანდა იყიდონ იაფი ექსკურსიები.

„არის ფასდაკლება მოგზაურობაზე, შეაძლებელია, მისდიო სპორტს. მე, მაგალითად, დავდივარ გუნდში და პილატესის ვარჯიშზე. უფასოდ ვსწავლობ ცეკვას, არა იმიტომ, რომ სცენაზე მინდა გამოსვლა, არამედ ჩემი განვითარებისთვის, მსურს, თავიდან ავიცილო დემენცია“, – ჩამოთვლის ოლგა.

ადამიანებისათვის „უსაფრთხოების ბალიშის“ მიცემა ძალიან კეთილშობილური იდეაა. სახელმწიფო პენსიის გარდა, ქვეყანაში არსებობს დაგროვებითი სისტემა. **„მაგალითად, თუ თქვენ კერძო კომპანიაში მუშაობთ და საპენსიო ფონდში გადარიცხული თანხა თქვენი ხელფასის 12%-ს შეადგენს, – აქედან 4%-ს თქვენ იხდით, 8%-ს კი დამსაქმებელი“,** -– ამბობს ფინანსური კონსულტანტი მარკ ჰანსენი.

მეწარმეებსა და მცირე კომპანიების მფლობელებს, მისი თქმით, უფლება აქვთ, არ გადაიხადონ საპენსიო გადასახადი. ასეთ შემთხვევაში თანამშრომლები ვერ აგროვებენ საპენსიო დანაზოგს და დაუცველები რჩებიან.

დაგროვებისათვის ხალხს სტიმულს აძლევდა საგადასახადო შეღავათები და სისტემა საკმაოდ სწრაფად იქნა მიღებული. საბოლოო ჯამში მის გასაუქმებლად არ წარმოქმნილა სერიოზული წინაპირობები. დღეს ყველა ხედავს, რომ ეს იყო კარგი იდეა და ადამიანების უმრავლესობა კმაყოფილია დაგროვებითი საპენსიო სისტემით.

ტორვენ ანდერსენი: მარკის თანახმად, ჩვეულებრივ დანიაში გადასახადები 40% შეადგენს, მაგრამ თუ მოქალაქის შემოსავალი გარკვეულ ზღვარზე მაღალია, მაშინ გადასახადები 57 %-მდე იზრდება.

„ცხადია, ეს ზოგიერთისთვის შესაძლოა მაღალი იყოს, მაგრამ სწორედ ამ გადასახადების წყალობით მუშაობს კეთილდღეობის საიმედო სისტემა“, – გვიხსნის მარკ ჰანსენი. – **„თუ თქვენ აღმოჩნდით არაკეთილსაიმედო ვითარებაში, მაგალითად, ვერ შეძელით პენსიის დაგროვება, მაშინ მიიღებთ სახელმწიფო პენსიას, ის კი იმ გადასახადებისგან იქმნება, რასაც მოქალაქეები იხდიან“.**

რას ამბობენ თავად დანიელი მოქალაქეები?

ბირტე, 86 წლის: ჩემს ქმარს ჰქონდა პენსია, ახლა ქმრის პენსიას მე ვიღებ და პარალელურად ვღებულობ სახელმწიფო პენსიასაც. მას კარგი ხელფასი ჰქონდა, მისი სიკვდილის შემდეგ მე ქვრივის პენსიას ვღებულობ, ამიტომ კარგად ვცხოვრობ. ალბათ სისტემით უკმაყოფილოებიც არიან, მაგრამ მე კარგად ვცხოვრობ.

გორმი, 53 წლის: სისტემა კარგია, რადგან იგი ხელს უწყობს ფართო სოციალურ დაცვას. მაგრამ ჩვენ გაქვს რამდენიმე სისტემა, კერძო ან ნაადრევი პენსიებისა, მათთვის, ვინც საპენსიო ასაკამდე შეძლო თანხების დაგროვება. საერთოდ ჩვენთან სოციალური დაცვა ძლიერია და ადამიანები, რომლებიც დანიაში ბერდებიან, არ არიან ღარიბები და ძალიან ღარიბები. ვფიქრობ, რომ სისტემა, მთლიანობაში, კარგია.

როგორ ტარდებოდა დანიაში საპენსიო რეფორმა

ტორვენ ანდერსენი, ორჰუსის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰყვება, თუ როგორ შემოიღეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა. მისი თქმით, ხელისუფლებამ, ხალხს გაუჩინა სტიმული, მათ შორის საგადასახადო შეღავათები, რომ დაეგროვებინათ პენსია. დანიაში არსებული დაბეგვრის მაღალი დონის გათვალისწინებით, ბევრისათვის ეს საბოლოო ჯამში ხელსაყრელი აღმოჩნდა.

„1980-90 იან წლებში ამის თაობაზე ფართო დისკუსიები იმართებოდა, მაგრამ არსებობდა ძლიერი ნებაც ამის გასაკეთებლად. დაგროვებისათვის ხალხს სტიმულს აძლევდა საგადასახადო შეღავათები და სისტემა საკმაოდ სწრაფად იქნა მიღებული. საბოლოო ჯამში მის გასაუქმებლად არ წარმოქმნილა სერიოზული წინაპირობები. დღეს ყველა ხედავს, რომ ეს იყო კარგი იდეა და ადამიანების უმრავლესობა კმაყოფილია დაგროვებითი საპენსიო სისტემით. დამსაქმებლებმაც დაუჭირეს მხარი ამ სისტემას.“

დანიაში არსებობს რამდენიმე საპენსიო ფონდი. ნახევრად სახელმწიფო ATP, არაკომერციული და კერძო კომერციული ფონდები. ხალხს დიდი არჩევანი აქვს.

დღეისათვის დანიაში კაცები და ქალები 65 წლის ასაკში გადიან პენსიაში. მაგრამ ცოტა ხნის წინ მიიღეს გადაწყვეტილება საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდის შესახებ, სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი ზრდის პარალელურად.

„ხელისუფლებამ კარგად განმარტა ამ ცვლილებების აუცილებლობა, – ამბობს ანდერსენი. – **ყველას ესმის, რომ სახელმწიფო არ აპირებს არაფრის მოპარვას. ეს სოციალური კონტრაქტის ნაწილია. მედიცინა ჩვენთან სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი, განათლებაც უფასოა. მაგრამ უფასო არაფერია – გადასახადები დანიაში საკმაოდ მაღალია. ის იხარჯება პენსიაზე, განათლებაზე, შემწეობებზე, მედიცინასა და ა.შ.. ესაა სოციალური კონტრაქტი: ხალხი მზად არის, გადაიხადოს მაღალი გადასახადები, რადგან ხედავს, რომ მათ გადასახადებს ბრძნულად განკარგავენ, თანხები იხარჯება სასარგებლო საქმეებში. ეს მნიშვნელოვანი ელემენტია იმისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს.“**

ბოჰარდ ორლოვი,
კოგა ლიკლიკაძე.

საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“, შესაძლოა, დაიშალოს

ფრაქციის დაშლის საფრთხე მას შემდეგ დადგა, რაც დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ განაცხადა, რომ ის „პატრიოტთა ალიანსს“ ტოვებს და საპარლამენტო საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს.

ტელეკომპანია „იბერიას“ დამფუძნებელმა ნატო ჩხეიძემ განცხადება „პატრიოტთა ალიანსიდან“ გასვლის შესახებ „არჩევანის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა. დეპუტატი გადაწყვეტილების კონკრეტულ მიზეზებზე საუბარს საპარლამენტო ტრიბუნიდან გეგმავს. ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებს“ წარმოადგენენ: გიორგი ლომია, ნატო ჩხეიძე, გელა მიქაძე, ირმა ინაშვილი, ემზარ კვიციანი, ადა მარშანია.

კოჟორიძემ თანამდებობა დატოვა

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაცია დატოვა.

როგორც კოჟორიძე სოციალურ ქსელში წერს, პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობაზე გუშინ მისი ბოლო სამუშაო დღე იყო.

„ორი კვირის წინ პირადი სურვილით დავწერე განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. შემდეგ დავასრულე საქმეები, რაც უნდა დამესრულებინა. გუშინ იყო ჩემი ბოლო სამუშაო დღე პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობაზე. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პროფესიონალიზმი ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირად საჭიროა. ახლაც ასე ვფიქრობ და ამ დამოკიდებულებით დღეიდან შევუდგები საადვოკატო და, ასევე, აკადემიურ საქმიანობას“, – წერს კახა კოჟორიძე სოციალურ ქსელში.

◎ სუმო

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე სექტემბრის სუპერტურნირზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა.

დასავლეთის მე-2 ოძეკის მქონე ტოჩინოშინი დასავლეთის პირველ მაეგაშირა კაისეის გაეჯიბრა და იორიკირით იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ქართველმა და ბრაზილიელმა სეკიტორებმა კლასიკური ორთაბრძოლა ჩაატარეს: მეტოქეებს მავაშიში ჰქონდათ ხელი ჩაჭიდებული და მაყურებელი იმის მოლოდინში იყო, ჯანში ვინ აჯობებდა. საბედნიეროდ, გადამწვეტი მიძალება ლევანმა განახორციელა და კაისეი ტავარას (დოჰიოს კიდე) მიღმა გაიყვანა.

გორგაძემ 4 მარცხის წილ მე-6 მოგება მოიპოვა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებური კადობანში გახლავთ ჩაყენებული (ოძეკის წოდების შესანარჩუნებლად კაჩი-კოში ანუ დადებითი ბალანსი სჭირდება), მიზნისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ახლა ტოჩინოშინს უმთავრესი ამოცანის გადასაწყვეტად დარჩენილი 5 შერკინებიდან ორის მოგებაც ეყოფა.

არადა, აკი ბაშოს მე-11 დღეს ქართველ სუმოისტს ურთულესი დაპირისპირება ელის. მისი მოწინააღმდეგე რიგით 71-ე იოკოძუნა კაკურიუ იქნება, რომელსაც საშემოდგომო სუპერტურნირზე ათივე შეხვედრა მოგებული აქვს და კიდევ ერთ მონღოლ ჩემპიონ ჰაკუჰოსთან ერთად ლიდერობს. ტოჩინოშინი კაკურიუს აქამდე 24-ჯერ გაჯიბრებია და მხოლოდ ორ ბრძოლაში უმარჯვია. ვთქვათ ისიც, რომ მონღოლთა უმთავრეს მდევრად დასავლეთის პირველი ოძეკი ტაკაიასუ (მან გუშინ ოძეკთა ჯახში გოეიდო დაჩაგრა) რჩება 9 გამარჯვებით, რომელიც დღეს ძალებს ჰაკუჰოსთან მოსინჯავს.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას განაგრძობს თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ. ქართველმა გოლიათმა აკი ბაშოზე მე-5 გამარჯვება ჩაიწერა აქტივში და ისევ თანაბარ ბალანსზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ გაგამარუ აღმოსავლეთის მე-12 ნომრის წოდებით ირჯება და მორიგი მაკე-კოშის (უარყოფითი ბალანსი) უფლება აღარ აქვს. გუშინ თეიმურაზმა დასავლეთის მე-9 ნომერი სეირო ოშიდაშით დაჯაბნა, დღეს კი დასავლეთისვე მე-4 რეიტინგოსან კიოკუშუჰოს გაეჯიბრება, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც 7:11 მარცხდება.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ჯერ - წყვილებში

ძართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი საფრანგეთის ქალაქ მეცში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 561 345 ევრო) ჩაერთო და პირველი გამარჯვება იზეიმა.

იგი და მოლდოველი რადუ ალბოტი წყვილთა შეჯიბრის საწყის რაუნდში „უაილდ ქარდის“ მქონე ფრანგებს — უგო უმბერსა და ჟო-ვილფრედ ცონგას შეხვდნენ და 5:7, 6:4, 10:8 მოიგეს.

თუ ვინ იქნებიან ქართულ-მოლდოვური დუეტის მეტოქენი მეოთხედფინალში, მოგვიანებით გაირკვევა.

ერთეულთა ტურნირში ბასილაშვილი მე-5 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულ მასპინძელ კენი დე შეპერს გამოცდის.

ბეჭან დოლიძე

◎ ლეგიონერი

ელიტური დებიუტი

„ბორჯღალოსანი“ ბექა გორგაძე ერთწლიანი ტრავმის შემდეგ ელიტურ რაგბის დაუბრუნდა და თავისი ახალი გუნდის, ტოპ 14-ის „ბორდოს“ მაისურით პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა.

ხანგრძლივი ტრავმის მიუხედავად, ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პროცესში მყოფ 22 წლის

მესამეხაზელს „ბორდომ“ კონტრაქტი გაუფორმა და ტოპ 14-ის მეოთხე ტურში „აჟენთან“ სტუმრად გასამართ მატჩში განაცხადში შეიყვანა. ბექა თამაშში 31-ე წუთზე ჩაერთო და ტრავმირებული თანაგუნდელის ნაცვლად 7 წუთი იბურთავა, 67-ე წუთზე კი სრულფასოვან შეცვლაზე შევიდა. „ბორდოს“ მოლმა ბოლო წუთზე საჯარიმო ლეილო გამოიმუშავა, თამაში „აჟენმა“ 22:17 მოიგო და სტუმრებს მცირედით მარცხისთვის ბონუსი შეხვდათ.

მატჩში მონაწილეობა კიდევ ორმა ქართველმა მიიღო. „ბორდოს“ რიგებში პირველიდან 76-ე წუთამდე ითამაშა ლექსო ყაულაშვილმა, ხოლო „აჟენის“ განაცხადში გიორგი თეთრაშვილი იყო და ის თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო.

მიმდინარე სეზონში „კლერმონის“ რიგებში პირველად ითამაშა მესამეხაზელმა ვიტო კოლელიშვილმა. ის სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 52 წუთი გაატარა. „კლერმონი“ სტუმრად „პოს“ შეხვდა და 27:23 დაამარცხა. „ვულკანები“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ოთხივე თამაში მოიგო.

ტოპ 14-ში დებიუტი ჰქონდა „გრენობლის“ ბურჯ ბექა გიგაშვილს. ის ამ გუნდში გასულ სეზონში, პრო დე 2-ში თამაშობდა და ტოპ 14-ის საგზური მოიპოვა, მეოთხე ტურში კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 50 წუთი გაატარა. „გრენობლი“ სტუმრად „კასტრს“ შეხვდა და 13:29 დამარცხდა.

„რასინგ 92“ „ტულუზს“ ეწვია და 17:30 წააგო. პარიზელთა შორის მოედანზე პირველივე წუთებიდან იყო ვასილ კაკოვინი, რომელიც 52-ე წუთზე გურამ გოგიჩაშვილმა შეცვალა. გოგიჩაშვილმა ტოპ 14-ში ზედიზედ მეორე თამაში ჩაატარა.

მეოთხე ტურის სხვა შეხვედრებში „ლიონმა“ „მონპელიეს“ 55:13 მოუგო, „სტად ფრანსემ“ „ტულონს“ 37:10 სძლია, ხოლო „ლა როშელმა“ „პერპინიანი“ ასევე 37:10 დაჯაბნა.

პრო 14-ის მიმდინარე სეზონში პირველად ითამაშა „ბორჯღალოსნების“ კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ. მისი „ოსფრეიზი“ ირლანდიაში „მანსთერს“ ეწვია და 13:49 დამარცხდა. ნემსაძემ მეორე ხაზში შუცვლელად ითამაშა, მე-17 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო და, შესაბამისად, მოედანზე 70 წუთი გაატარა.

ინგლისის პრემიერშიფში ზურაბ ჟვანიას „უოსფსმა“ „ლესთერს“ უმასპინძლა და 41:35 სძლია. ქართველი ბურჯი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მატჩის შემდეგ

მეტ ჯენინგი: „ყველაფერი გავაკეთეთ წარმატებისთვის“

საძართველოს ნაკრების კალათბურთელმა მეტ ჯენინგმა საბერძნეთის გუნდთან დრამატული მარცხის შემდეგ (85:86) კომენტარი გააკეთა. ამერიკელის განცხადებით, ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ბოლომდე დაიხარჯნენ და ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის, მაგრამ არ გაუმართლათ.

„საბერძნეთის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, რომელიც გამოცდილი და მაღალი დონის კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. ჩვენ ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, თუმცა, ბოლოს არ გაგვიმართლა. თითოეულმა მოთამაშემ ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

დარბაზში შესანიშნავი ატმოსფერო იყო და ძალიან დიდი ძალა მოგვცა. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივარს, რომელიც ბოლომდე ჩვენს გვერდში იდგა“, — აღნიშნა ჯენინგმა.

მეტ ჯენინგი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. მის ანგარიშზე 17 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი იყო. მარგი ქმედების კოეფიციენტიც თანაგუნდელთა შორის ყველაზე მაღალი ჰქონდა — 24.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

დიბალა დაშავდა

ტურინის „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონს, შესაძლოა, სერიოზული დანაკლისით შეხვდეს. Tuttosport-ის ინფორმაციით, „ბებერი ქალბატონის“ შემტევმა პაულო დიბალამ მარცხენა ფეხზე „სასუოლოსთან“ მატჩში მცირე დაზიანება მიიღო და ესპანეთში მისი თამაში საეჭვოა. საბოლოო გადაწყვეტილებას სამედიცინო შტაბი უშუალოდ თამაშის წინ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ დღეს„მესტალიაზე“ აპენინელებს „ვალენსია“ უმასპინძლებს.

გიორგი ზოთაძე

სულთათანა

შოთა ვაშაკიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი **შოთა ივანეს-ძე ვაშაკიძე**, დაბადებული დიდი ფიზიკოსის ივანე ვაშაკიძის ოჯახში 1950 წელს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. დუბნაში ბირთვული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტში. 1975-1991 წლებში მუშაობდა თსუ-ს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში, ხოლო 1991-1992 წლებში — თსუ-ს თეორიული ფიზიკის კათედრაზე.1985-1989 წლებში იყო მერილენდის (აშშ), ხოლო 1989-1990 წლებში — ფრასკატის (იტალია) ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი. 1993 წლიდან ატარებდა სამეცნიერო კვლევებს აშშ-ის წამყვან კვლევით ლაბორატორიებსა და უნივერსიტეტებში, გამოყენებითი მათემატიკისა და ფიზიკის მიმართულებით. პარალელურად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ბ-მა შოთამ ქართველ ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად შექმნა პირველი ინგლისურ-ქართული ინტერნეტ-ლექსიკონი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ბ-მა შოთამ შექმნა აშშ-ში სტუდენტებისა და მაძიებლების გაცვლითი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც 150-მდე ქართველმა სტუდენტმა მიიღო და დღესდღეობითაც იღებს განათლებას აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში.

2003 წ-ს ბ-მა შოთამ აშშ-ის საელჩოსთან ერთად თსუ-ში გახსნა ამერიკული სტანდარტებით აღჭურვილი საგანმანათლებლო-ინფორმაციული ცენტრი და ტექნიკური მიმართულების წიგნების ბიბლიოთეკა.

მის მიერ ჩამოტანილი საკმაო მოცულობის მედიკამენტები და ტანსაცმელი საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით დაურიგდა უნარშეზღუდულ და უპატრონო ბავშვებს.

აშშ-ში ჩაატარა საქართველოს კულტურის დღეები, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი დიასპორის და საელჩოს წარმომადგენლები, ასევე სტუმრები აშშ-დან და საქართველოდან.

2001 წელს დააარსა და გამოსცა ერთ-ერთი პირველი ინტერნეტ-ჟურნალი „კვალი“ ქართულ ენაზე. შეაგროვა და დაამუშავა ქართველი ემიგრაციის არქივი, რომელიც 2015 წელს გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თსუ-ს. „კვალის“ ეგიდითა და დაფინანსებით 2003 წელს ჩაატარა კონკურსი დრამატურგიასა და პროზაში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით და გამოიცა კრებული.

ონლაინ-რეჟიმში მოწვეული ჰყავდა და ქართველ სტუდენტებს ლექციებს უკითხავდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან გამოჩენილი მეცნიერები.

თბილისში მან ჩაატარა ქართველი დიასპორების საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ქართველ მეცნიერებთან ერთად განიხილეს სამომავლო პერსპექტივები და შესაძლებლობები.

შოთა ვაშაკიძე გახლდათ: ღირსების ორდენის კავალერი (2003). წლების მანძილზე ამერიკაში საქართველოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი და განათლების გამგეობის დირექტორი; აშშ-ში საქართველოს საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი; საქართველო-ამერიკის მეგობრობის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

შოთა ვაშაკიძე იყო თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი და უანგაროდ ემსახურებოდა მას. იყო ოჯახის, მეგობრების და ახლობლების დიდი იმედი და მუდამ გვერდში მდგომი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა იგი ვალმოხდილი წავიდა მშობლიური ქვეყნის, ოჯახისა და საქმის წინაშე.

შოთა ვაშაკიძის ნათელი ხსოვნა და ნამოღვაწარი მუდამ უკვდავი იქნება.

ოჯახი, მეგობრები

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ვახტანგ და მალხაზ მშვილდაძეებს დისშვილის

გიორგი ბერძენიძის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 22 IX 15 სთ.

მისამართი: ქ. ქუთაისი, 12 მოციქულის ეკლესიიდან (აღმაშენებლისა და გამსახურდიას ქუჩის კვეთა).

COCA-COLA

სასმელში კანაფის გამოყენებას გეგმავს

არსებული ინფორმაციით, მოლაპარაკებები კანადურ კომპანია Aurora Cannabis Inc-თან მიმდინარეობს.

გამოცემა Bloomberg წერს, რომ Coca-Cola გეგმავს ინგრედიენტად გამოიყენოს სამედიცინო დანიშნულების მარიხუანა, რომელიც ტკივილის შეგრძნებებს შეამცირებს.

COCA-COLA-ს ინფორმაციით, ორივე მხარე დაინტერესებულია, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. Bloomberg-ის სტატიაში აღნიშნულია, რომ COCA-COLA-ს მხრიდან კანაფის ბიზნესისადმი ინტერესი, შესაძლოა, ტრადიციული ბიზნესის მოგების კლებას უკავშირდებოდეს.

საშიში სათამაშოები

მომხმარებელი - საკუთარი თავის იმედად

საქართველოში სხვა მრავალ ნივთთან ერთად სათამაშოების შეძენისას მყიდველს უკიდურესი სიფრთხილის გამოჩენა ჰმართებს. მართალია, მყიდველს კეთილი მიზნები ამოძრავებს: ბავშვის შექცევა, თუ ინტერიერის გალამაზება, თუმცა შედეგები შესაძლოა, არც თუ სახარბიელო აღმოჩნდეს. საქმე იმაშია, რომ მყიდველი დღემდე მხოლოდ მომწოდებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

არის თუ არა უსაფრთხო ქართულ ბაზარზე არსებული სათამაშოები?

კითხვა „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ჩატარებული კვლევის შემდეგ დაისვა და აქტუალობას ამ დრომდე ინარჩუნებს, ვინაიდან, როგორც ირკვევა, სათამაშოების ბაზარი კვლავ უკონტროლოდ რჩება.

ორგანიზაციამ ქართულ მაღაზიებში 10 სახის სათამაშო ჯერ კიდევ 2016 წლის 31 ოქტომბერს შეიძინა და გერმანიაში, სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა. კვლევამ აჩვენა, რომ 10-დან 9 სათამაშოში დასაშვებზე მეტი აღმოჩნდა **დი-2-ეთილჰექსილფტალატის** შემცველობა, რომელიც ბავშვების ჯანმრთელობისთვის საშიშია.

რა არის დი-2-ეთილჰექსილფტალატი

ეს არის ფტალატების ჯგუფში შემავალი ნივთიერება, რომელსაც აქვს დამარბილებელი ეფექტი და ელასტიკურობას სძენს საგანს. მას იყენებენ სათამაშოებში, საჭმლის შესაფუთ საშუალებებში, ფეხსაცმელებში და სხვადასხვა სახის პროდუქტში.

ქიმიური ინსპექციისა და რეგულირების სამსახურის ცნობით, რომელიც ჩინეთში ბაზირებული კერძო ორგანიზაციაა, კვლევებმა აჩვენეს, რომ მამაკაცის სპერმის შემცირება ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში დაკავშირებულია ფტალატებისა და სხვადასხვა სახის დამარბილებლების გამოყენებასთან. სპეციალისტები ასევე მიიჩნევენ, რომ სათამაშოები, რომლებიც შეიცავენ ფტალატებსა და სხვადასხვა სახის დამარბილებლებს, საფრთხეს უქმნიან ბავშვის თირკმელსა და ღვილს.

რას აკეთებს სახელმწიფო

სახელმწიფო უწყებას სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციით გასულ წელს მიმართა სახალხო დამცველმა:

„საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ეროვნული კანონმდებლობა აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით; კონტროლის არარსებობამ კი შესაძლოა აღნიშნულ სიკეთეებს საფრთხე შეუქმნას“.

სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნები აქვს ევროკავშირსაც, რაც ასოცირების შეთანხმებით არის გათვალისწინებული. მოთხოვნები 2019 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა შესრულდეს.

რა ხდება სადღეისოდ, ახერხებს თუ არა ქვეყანა 2019 წლისთვის ევროკავშირის ამ დირექტივის შესრულებას? კითხვით „აქცენტმა“ ეკონომიკის სამინისტროს მიმართა. უწყებაში განმარტეს, რომ „ზედამხედველობის დანერგვის პროცესი დაწყებულია“:

„სათამაშოების ბაზარზე ზედამხედველობა სამრეწველო და სამომხმარებლო ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ნაწილია. ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის დანერგვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა. ხელშეკრულების თანახმად, 2019 წლის ბოლომდე მიღებულ უნდა იქნას ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ. მიღებული რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ საქართველოში დაიწყება სათამაშოების ბაზარზე ზედამხედველობა.

ზოგადად, ზედამხედველობის სისტემის დანერგვა უკვე დაწყებულია. ის მიმდინარეობს ეტაპობრივად და მას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“.

უწყებაში ამბობენ, რომ „სისტემის დანერგვას სერიოზული მომზადება სჭირდება“:

„სისტემის დანერგვა მოიცავს საკანონმდებლო ბაზის შექმნას ევროდირექტივების შესაბამისად, თანამშრომლების გადამზადებას, ინსტიტუციური ცვლილებების გატარებას, ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობას, ამ სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებების კოორდინირებულ მუშაობას და სხვა. მიმდინარეობს მუშაობა ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მომზადებაზე, მათ შორის, სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ შევიდა ცვლილება ბაზარზე

ზედამხედველობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, მომზადდა შესაბამისი მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები. 2015 წლიდან სააგენტოში დაიწყო ევროკავშირის პროექტების განხორციელება და დღემდე მიმდინარეობს. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარებას საქართველოში ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს საგენტოს, რათა ნაკისრი ვალდებულებები დადგენილ ვადებში შესრულდეს“.

რჩევები მომხმარებლებისთვის რეგულაციების ამოქმედებამდე

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ცნობით, ერთ-ერთი ძირითადი საფრთხე, რომელიც სათამაშოებისა და ტანსაცმლის მხრიდან მცირეწლოვან ბავშვებს ემუქრება, არის დახრჩობა, რაც შეიძლება გამოიწვიოს პატარა ნივთების პირში ჩადებამ, ან ტანსაცმლისა თუ მისი ზონრების ყელზე შემოხვევამ. გადაყლაპვის შემთხვევაში კი დგება შინაგანი ორგანოების დაზიანებისა და მოწამვლის საფრთხეები. ამ საფრთხეების შესამცირებლად ყურადღება მიაქციეთ შემდეგს:

- ბევრ სათამაშოსა თუ ტანსაცმელს, ან მათ შეფუთვას აწერია ბავშვის წლოვანება, რომლისთვისაც ეს საქონელია განკუთვნილი. ასევე, გააჩნია წარწერა — დახრჩობის საფრთხე! ინგლისურად — Chocking Hazard! დააკვირდით, აქვს თუ არა ასეთი წარწერები პროდუქტს და არ მისცეთ ისინი პატარა ბავშვებს, რომლებსაც ნივთების პირში ჩადება სჩვევიათ.
- თუ პროდუქტს ასეთი წარწერა არა აქვს, ნივთის ბავშვისათვის მიცემამდე ყურადღება მიაქციეთ სათამაშოს ზომას. ხომ არ შეიძლება ბავშვს იგი პირში ჩადებისას გადასცდეს? ან ხომ არ შეიძლება სათამაშო პატარა ნაწილებად დაიშალოს, ან ხომ არა აქვს ტანსაცმელს ისეთი ნაწილები, რომლებიც ბავშვმა შეიძლება პირში ჩაიდოს, ან მოსძვრეს ტანსაცმელს და გადასცდეს ბავშვს. ეს შეიძლება იყოს სათამაშოს ბატარეა, ტანსაცმლის მორთულობა, ზონრების ბოლოები თუ სხვა.

HTTP://ACCENT.COM.GE/GE/NEWS/DETAILS/59433

ეპიტაფია



ჩემი სიკვდილის შემდეგ დასაბეჭდი ლექსი

ბევრი არაფერი მომხდარა,
ნოდარ ჯალაღონია მომკვდარა.

ბევრჯერ გალანძღულს, მითელილს
არ ჰყავდა ბევრი მკითხველი.

ბევრს რომ ნიღაბი ახადა,
ჩანს, მეგობრებიც არ ჰყავდა.

თავისი ხალხის გარეშე
არ უცხოვრია წამითაც,
მამულზე ფიქრით იცხოვრა,
მამულზე ფიქრით წავიდა.

დიდი არაფერი მომხდარა,
ნოდარ ჯალაღონია მომკვდარა...

ნოდარ ჯალაღონია
2018 წ. აგვისტო
მუსათწყარო

მეუღლე მანანა შალიკიანი, ძმისშვილები მერაბ, მარინა, მაია ჯალაღონიები, დისშვილები ჯანსუღ, მედიკო, მზია, მიმოზა ჯიქიები, ცოლისძმა ზაურ შალიკიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ ჯალაღონიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 19 IX, მის.: ვაჟა-ფშაველას გამზირი მე-2 კვარტალი, კორპ. 19. გამოსვენება 20 IX, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახ. ეკლესიიდან (ზ. ანჯაფარიძის ქ. №21, მეტროსადგური „უნივერსიტეტი“) 14 სთ.

სანთელი

ტარიელ ენდელაძე

გარდაიცვალა აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს დირექტორი, ტუბერკულოზის პროგრამის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური კოორდინატორი, ადიგენის საკრებულოს დეპუტატი, ჯანდაცვის გამორჩეული ორგანიზატორი, დიდებული ექიმი და პიროვნება, თავის ქვეყანასა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული დიდი კაცი — ტარიელ ენდელაძე.

ადამიანი, რომლისთვისაც სიკეთის ქმნა იყო ცხოვრების ერთადერთი და მთავარი მიზანი. სწორედ მისი უშუალო თავდადებისა და რუდუნების მეოხობით მოხერხდა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამედიცინო კერის — აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს თავის დროზე შენარჩუნება და შემდგომში აღორძინება. ვუსამძიმრებთ მის ლამაზ ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს, თანამშრომლებს.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული და დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

* * *

ტარიელ შალვას ძე ენდელაძე დაიბადა 1951 წლის 3 იანვარს ადიგენის რაიონის სოფელ ვახანში, მოსამსახურის ოჯახში.

1968 წელს დაამთავრა ვარხნის საშუალო სკოლა, იმავე წელს მუშაობა დაიწყო სოფელ ვარხნის საბჭოთა მეურნეობაში მუშად, ხოლო 1971-1973 წლებში მუშაობდა ამავე მეურნეობის სატვირთო მანქანის მძღოლად. 1973 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, ხოლო 1974 წელს ამავე ინსტიტუტის სანჰიგიენური ფაკულტეტის პირველ კურსზე, რომელიც 1980 წელს დაამთავრა წარჩინებით.

1980 წელს მუშაობა დაიწყო სოფ. მოხის საექიმო ამბულატორიის გამგედ. 1984 წლიდან 1985 წლამდე მუშაობდა ადიგენის რაიცენტრალური საავადმყოფოს პოლიკლინიკური საავადმყოფოს გამგედ.

1995 წლიდან იგი იყო სამხრეთ მხარის კოორდინატორი ფთიზიატრიაში მის მიერ არის დანერგილი რეგიონში ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა.

1985 წლიდან დღემდე იგი იყო აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს დირექტორი.

ტუბერკულოზისა და ფილტვის
დაავადებათა ეროვნული ცენტრი

პანაშვიდი განსვენებულის ბინაზე: 19 IX. მისამართი: თბილისი, ჭიათურის ქუჩა №4/6, შესასვლელი თაღის გავლით ხილიანის (ჩიქოვანის) ქუჩიდან.

გამოსვენება 20 IX, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ტაძრიდან.

რატი წითელაძე „ოქროს გლობუსზე“ დასასწრებად მიიწვიეს

რეჟისორი რატი წითელაძე Golden Globes-ის ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის რეზიდენციის გრანტის გამარჯვებული გახდა და „ოქროს გლობუსზე“ დასასწრებად მიიწვიეს.

რატი წითელაძის ფილმის „ცარიელი სახლის“ სცენარი წარდგენილი იყო საუკეთესო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული სცენარის პრიზზე.

ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში რატი წითელაძე პირველი რეჟისორია, რომელიც Golden Globes-ის ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის რეზიდენციის გრანტის გამარჯვებული გახდა.

„მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალის TIFF Filmmaker Lab-ის რჩეული რეჟისორებიდან, ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის კომისიამ რატი წითელაძე, პროექტით „ცარიელი სახლი“ — გამარჯვებულს შორის დაასახელა.

რატი ლოს-ანჯელესში, სამკვირიანი რეზიდენციის ფარგლებში ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის საბჭოს წევრებს, ცნობილ კინემატოგრაფისტებსა და მოწვეულ სპიკერებს შეხვდება და ოქროს გლობუსის 76-ე დაჯილდოებას დაესწრება“, — ნათქვამია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რატი წითელაძემ ლოს-ანჯელესის კონსერვატორია სამსახიობო ხელოვნებისა და რეჟისურის განხრით დაამთავრა. 21 წლისა მსოფლიო ჩემპიონი გახდა ორთაბრძოლაში, თუმცა, კარიერა კინოში გააგრძელა.

აჭარა - მსოფლიოში მტაცებელ ფრინველთა მიგრაციის უდიდესი კორიდორი

აჭარა ტურისტული პოტენციალის გარდა ფრინველებზე დაკვირვებისთვისაც საინტერესო მიმართულება ხდება. 16 ოქტომბრამდე აჭარას ფრინველთა მრავალი სახეობა გადაუფრენს, რასაც რეგიონში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მეცნიერი აკვირდება.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი, „აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის“ სახელითაა ცნობილი, სადაც ყოველწლიურად 1 000 000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. მათგან ნახევარ მილიონზე მეტი არის კრაზანაჭამია, სხვა დანარჩენი კი ძერა, ძელქორი და სხვა სახეობის მტაცებლები. ჯამში, აჭარის თავზე მილიონზე მეტი, 35 სახეობის მტაცებელი ფრინველი გადაიფრენს. შედეგად, აჭარა მსოფლიოში მტაცებელ ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ უდიდეს კორიდორად ითვლება და ის, მსოფლიოში მესამე ადგილზეა, რის გამოც რეგიონი ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ ტურისტსა და ამ დარგით დაინტერესებულ მეცნიერს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ფრინველებზე დაკვირვებისათვის გამოიყენება: ჭოროხის დელტა, სოფელი ჩაისუბანი, სოფელი სახალვაშო, ბათუმის ზღვისპირა პარკი, ნავსადგური და კოლხეთის ეროვნული პარკი.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6156; ევრო - 3.0498;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4259;
100 რუბლი - 3.8379; თურქული ლირა - 0.4189;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5430;
1000 სომხური დრამი - 5.3930.

ამინდი 19 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +26
თბილისი: ღამე +16, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge